

119
1938/2



ՁԵԱՅՐԸ

9

ՑԱՌԱՐԱՆ

1938



მნიშვნელობა

სრულიად საქართველოს საპატიოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიცენზიურო,
სახელოფერო და საბრძოლო დოკუმენტ-საპოლიცენზ
ეროვნული

ზოლიზაზი მითილეთიშვილი

9

ს ი ძ ი ვ ა ბ ი 6 0

ს ა ხ ე ლ ა ბ ი 6 0



නවයාච්චීය:

උග්‍රාලිසි, මෙන්දලෝ 13,
ප්‍රේරාලිත සැබක්ලු
අ. 3.71-84

පාන්ත්‍රිකය:

උග්‍රාලිසි, කාර්මුක්ස් අ. № 7
සැබුලුගම්ප
ප්‍රේරාලිත සැබක්ලු

3/83. නවයාච්චීය — එලිගු මාරාජංලා

3/88. පෙන්වායි — දොඩා ආශාත්‍යාය

තාරු. තාරු. 29/IX — 38; තෙලුම් ගාසාඩ. 10/XI — 38 ට.
පියු. № 1634; මතාවල. රුඩ. № 3764. උරු. 5,500.

සැබුලුගම්ප පොලොගුරුවාසුප්‍රාමිත්‍රිය, ගෞරුව්‍යාසිස් අ. № 5.

ახალგაზრდობის საერთაშორისო ღლა

მიმღინარე წლის სექტემბერში მსოფლიოს რევოლუციურმა ახალგაზრდობამ იყდამეოთხევერ მთაბინა თავისი ჩივების საბრძოლო და თვალიერება. მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ტრადიციული უფლებადიური გამოხვდის დღე იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური იმპერია წინააღმდევ წელს მეტად რსული და გამშვავებული ხერთაშორისო ვითარების პირობებში ჩატარდა, ეს დღე იყო თცდა-შეითხე მრისხანე პროტესტი ფაშისტის, საშუალო საუკუნებრივი ბარბაროსისის, იმის ხაზრის გამჩადებულების, პირსისხლიანი იმპერიალისტების წინააღმდევ. ახალგაზრდობა კულად თამაშად, წევრული გამცედამიზით და სამამაცით გამოიდა ქუქებში, გამოიდა ერთოანი სახალის ფრონტის დროშით, საერთაშორისო მშეიღებისამიზის ლოზენგებით, ფაშისტური აგრესიონების წინააღმდევ, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მოღალატური კამიტულანტური პოლიტიკის წინააღმდევ. ბურგუზიული ქვეწების ახალგაზრდობამ მოითხოვა შრიმის, განათლების, დახვეწების უფლებები, მოითხოვა ადამიანური ცხოვრების უფლებები. მსოფლიო რევოლუციური ახალგაზრდობის ფართო მასებია კაიგად გაივერ, რომ ამ უფლებებისათვის ბრძოლის ვწარის ერთოანი სახალხო ანტიუშისტური ფრონტის გვა იმპერიალიზმისა და ფაშისტური ბანდიტების წინააღმდევ.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მსოფლიო იმპერიალისტური იმის მდგრადი მიზანის წარმოიშვა. 1915 წელს ახალგაზრდობის ბერნის ქონიკ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო გადაწყვეტილება, ამ დღის უფლებადიურად ჩატარების შესახებ. მაგრამ ბერნის კონფერენციაში, მიუცემდავად თავისი ღიად მინიჭებულისა, ვერ მიიცა ახალგაზრდობის მოძრაობას თანმიმდევრული რევოლუციური მიმართულება, კონფერენციაში მიიღო პაციუისტური ლოზენგები. ლენინის მკაფიოდ გააკრიტიკა ბერნის კონფერენციის შეცდომები და საბრძოლო ამოცანები დაუსახა მსოფლიო ახალგაზრდობის მოძრაობას. 1916 წელს ლენინი სწერდა:

„საკუთარი კლასი, რომელიც არ მიიხერავის იმისებინ, რომ ისტავლის იარაღის შმარება, ქონდეს იარაღი, ასეთი ჩაგრული კლასი მზოლიდ იმის ღირსი იქნებოდა, რომ მას დაურომოდინენ, როგორც მონებს. წევრ ხომ არ შეგვაძლია, თუ არ გადავიცევით ბურგუზიულ პაციუისტებად ან იმორტუნისტებად, დავიციტეთ, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ცვლილებით, და რომ იმისგან არ არის და არც შეიძლება იცოს სხვა გამოსავალი, გარდა კლასობრივი ბრძოლისა“.

იმის მოვლი პერიოდის განმავლიბაში და შემჯერაც დაწინ-ხტალინის პარტია ახალგაზრდა მეორე ინტერნაციონალის ბელადების, შევინისტებისა და მუშათა კლასის გამუჯადებების მოღალატურ პოლიტიკას, ზრდიდა ახალგაზრდობას და ამზადებდა

1915 ଫୁଲିବ ଶାର ନେତ୍ରମିଳିବରୁ ହାତାନ୍ତର ଏବଂ ପାଦମିଳିବରୁ ତାଙ୍କୁ ପାଦମିଳିବରୁ

და მას შემოგვე ახალგაზრდობა უკუკულისტობრად გამოიღოს რაზეც გამომტკიცებული თავისი რიცხვით, მოახდინოს მათი ხაპროცესი და თვალისწინება, ჩააბას ახალი ძალები შეიციდობისათვის ბრძოლის საქმეში. ეს უზიადესი მინიშვილობის აშოცანაა. უაშემის ახალ მსოფლიო სახალისო აშშადებს. ფაშისტური გენერალერი შტაბით და კონტრადიციერები ღვდება და ღამე გაფაციურებით ემზადებათ იმისათვის, რომ კელად გაახვიონ იმის ხანძაზში მოელი მსოფლიო, კვლავ გააჩალონ მახრინბელთა გაზეპინი შიშინი და მძიმე აზტოლერის გრილი, ვაიკუნონ მიღლიონიანი არმიები ბრძოლის კელებ და დაუკუნონ სისხლის ტექნი და ოკეანები. ფაშისტი აგრძეხორცები გაცილენით ემზადებათ მშევალობისათვისა და თავისუფლების უძლეველი ბურჯის — ხაპურით კაშირის წინააღმდეგ იმის მოსაწყობად. შორეულ აღმიხსევლებაში, ხასაწის ტბის ჩაითანაში, იაპონებმა ხამტრაებმა პრივატულულად სცადეს შემოჭრილიყვნენ ჩინენ ხაშლერებში, მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ გმირულად უკაეცია მათი ხანძობი.

გათავსედებული აგრძესორები, ხალხთა თავისუფლების შეცვლელის რაზმაცნ კა-
პიტალისტური რეაქციის ბრელ ძალებს, კონტრრევოლუციის ნაშირალებს, ჯაშუ-
შებისა და პროფესიალურების პანდებს, რათა ძირი გამოიყოხარინ საერთაშორისო
შეიიღონიანობის საქმეზე. ესაშინები სახალხო ურჩინებს მიუხა ტროკურებული პანდე-
ბის, ჯაშუშების, კაცისმეცვლელების.

ရွှေအော်မိမိ၏ ပြောစုတေသန အားလုံးကိုလည်း မီဒီဒီလျှပ်စီး တော်၏ လုပ်ချောင်း ဥပုံတော်၏ အားလုံးကို အန်တို့မိမိ၏ပြုလုပ် ဖြစ်ခဲ့ပါ။ အော်မိမိ၏ အားလုံးကိုလည်း အော်မိမိ၏ပြုလုပ် ဖြစ်ခဲ့ပါ။

ესპანეთის აპალუგაზებულობის გაერთიანებულ კავშირში ირჩეცემა ნახევარ გილოონშე შეტა წვერი. კავშირის შემადგენლობის ნახევარის არჩინის, საზღვაო და სამართლის მებრძოლები, მოთაცრები და კომისიერები შეადგენინ.

ნალით, რომელსაც ასეთი ასპარეზის გრძელება ჰყავს, უძლევდეთ.

ასი ათასი ჩინელი ახალგაზრდა ატანასულ გმირობას იქნის იაპონელ აგრძელებულ-
თან ბრილობის. ახალგაზრდა ჩინელი პატრიოტული თავშარისა ცეკვები გავყელებულ
სამურაეს. ბრილების ქარცულები გამოიწინო ჩინელის ახალგაზრდისა.

„దివ్య సిద్ధికర్తలుగాను దివ్యాగ్రహిలు — రూపస్తులుగ్గుణి క్రమాన్ని ఉపాఖ్యానిస్తాడి...“

„దినికి కొప్పాలుగున్నికి మించాలికండా — యాశిస్తు-గ్రహిసాంగ్రహిం త్వాంతిశ్చిందికి మించాలికండా“.

ମିଶ୍ରତ ଅନୁଭାବିତିରେ ଏକଟ୍ରାପିଲିନ୍‌ଟ୍ରୁଳିଟ ହେ ଯେ ଯେମନ୍‌କାରୀରୁକୁ ଏକାଲ୍ୟାକରଣ କାହାରେ
ମିଶ୍ରତ ଅନୁଭାବିତିରେ ଏକ କୋଷକ୍ଷରୀରେ ଧାରାବାହିକାରୀରୁକୁ ଏକଟ୍ରାପିଲିନ୍‌ଟ୍ରୁଳିଟ ହେ ଯେମନ୍‌କାରୀରୁକୁ ଏକାଲ୍ୟାକରଣ କାହାରେ

“ପ୍ରତ୍ୟେକିତାକାଳୀନତା ଏହାଙ୍କୁଥିଲୁଗାଣିଲା ଯୁଗରେଣ ମାନ୍ସଦ୍ଵାରା ଯୁଗରେଣିଲା କୁନ୍ତାଲମୁଦ୍ରା କାହାରେଣିଲା”

„ცაშისტური ავრესორების წინაშე კაპიტულაციის წინააღმდეგ, მათი ხახტყად დახვინებათვის“.

„შერომელების უბოროტების მტრების—ტროციკიტული ბანდაფრების, მიწვლ მსოფლიოში იმის გამსაცემების საბოლოოდ მისმობისათვის“, ტერიტორიული მიწვლის მსოფლიოში იმის გამსაცემების საბოლოოდ მისმობისათვის“.

„ესპანეთის, ჩინეთის, აბისინიისა და ჩინელოვაკიის ხალხებთან ხოლოდარობასთვის“.

„ახალგაზრდობის ცენტრის და კულტურული მდგრადირობის გაუმჯობესებისთვის, ხამუშაოს, პრისა და განათლებისათვის“.

„დღმიურატიულ თავისულებათა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის“.

„შეიძლებანიბის ტროციკი შევქმნისათვის ხაბკოთა კაციონის დაზი ხალხის მეტაურიობით!“

ახეთია მოცემი მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის საბრძოლო ლოგიურები ახალგაზრდობის ოცდამეოთხე ხასრაშის ღლებ.

შეატედ იტარება ახალგაზრდობა ფაშიზმის ველური რეფომის კლანებში. მას არა აქვს არაფიცარი უფლება, გარდა შინაშილით სიკეთლისა. გრძმანიაში უფლებულობრივად მიიღება ხასტავლებელთა რიცხვი, უფლებულობრივ მიიჩნება, რიცხვი ახალგაზრდებისა, რომელიც უმაღლეს ხასტავლებულში შედგა. გრძმანელი ახალგაზრდობის საშინელ ექსპლოარაციას თან ხდება ახალგაზრდა თაობის გაცოცებული მილიტარიზაცია. გრძმანის ციხეებში დაწულდებულთა სამიცი პროცენტი ახალგაზრდობაა.

მაგრამ ფაშისტების ველურობა და საშუალო ხაუკუნებრივი ბარბაროსია, ვერ შეძლებს გრძმანელ კომეკშირელთა ენერგიის ჩახშობას. მიუხედავად ტროცირისა, ისინი გმირულად იბრძვიან, მიუშაობენ იატაკებებისში — აერთონანებრი რევოლუციის ძალებს იმისათვის. რომ გადამწერებ მიმერქში მედგრავ დაარტყან ფაშიზმის, შერმელი ახალგაზრდობა უაშისტურ პოლონერთში შივაპილია მონიბის მდგრადირობაშედე. კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობამ კარგად გაივთ, რომ ფაშიზმი მისი უბრავტები და შეუტიკებული მტრებია, რომლის განადგურება საკიროა იმისათვის, რომ თავისულება და სედნიერად ოცნებრის კაცოცებისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა ოცდამეოთხე ხასრაშის ღლებ შეხედა მორალურად და პოლიტიკურად მტრცებ გატრონიანებული ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ. საბჭოთა ახალგაზრდობა უფლებული წუთს მზად არის და კვლავ ემზადება თავისი ხელიალისტური ხასრობლოს — მოცემა ქვეყნის შერმელთა ერთად-ერთი სამშენებლოს დასაცავად ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობა და მშებლიური ზრუნვა ახალგაზრდობაზე არის ლენინური კომკაციონის ძალისა და სამტკაცია წყარო.

ჩევნი ახალგაზრდობის წინებლისა და მისი ზრდის საუკეთესო საუზრუნველო წარმოადგენერ ის დიადი უფლებები, რომელიც მიანიჭა მას სტალინურმა კომსტიტუციაში.

საბჭოთა ახალგაზრდობა, ღირსეულად ახრულებს რა თავის ინტერნაციონალურ მიერალებას, განვერცხატლად ზრუნვას საბჭოთა კაციონის თავდაცვითი ძლიერების განმრეცებისთვის.

ამანაგი ს ტალი გვამუსვლის, ეცუთ მობილიზაციური მზადეოფნის მდგრადირობაში, გვახსოვდეს კაპიტალისტური გარემოება.

იყო მობილიზაციური მზადეოფნის მდგრადირობაში ნიშანებ შევიარალდეთ რევოლუციური ხელმისაწვდომ, შეგვერდოს მტრის მოქმედების გამოციობა, ვიკოთ მზად მტრული ძალების განადგურებულად.

საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც იზრდება სოციალიზმის ბევრები ქვეყანაში, ერთი წუთითაც არ ივარებს კაპიტალისტური ქვეყნების დაჩიტურ ახალ თაობას, რომლის არმაც მილიონიანი მასში, გარეთიანებული მშვიდობისათვის დარშობით,

ეშვანდებიან, რათა მოცელი ხშირ განვიწადონ პრიოტესტი ფაშისტური, ავტომობილების გარბაროსობის წინააღმდეგ.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია მიზნის სტრიქი, აქმისტისტური აშოცენების ნათლად გავეძა, შეუდრეველობა მიზნის მიზევაში და უსაზღვრო ხელ-ვარული სამშობლოსადმი.

საბჭოთა ახალგაზრდობა იზრდება ბოლშევკიური პარტიის, ლენინ-სტალინის და-და პარტიის სახელოვან ტრადიციებზე. საბჭოთა ახალგაზრდობის ძალა და უძლე-ველობა იმაშია, რომ იყო აღხაფხება უსაზღვრო ერთობულებით და სიუფარულით სალჩია დაზიანებულის ამხანაგ სტანდარტის და მის ადგინა.



ას. აბაშელი

მზე და სამოგბლო

1. ლიპსის ჯაჩაშვილი.

ციცან ყვითელი ბუმბული ცვივა,
ოქროს ფრინველნი მთაწე სხდებიან.
აზეინულ ღრუბლის ვარდისფერ თვეს
მზისაგან ცეკვლი მოჰკიდებია.

სხეაგან სად იწვის შეცა ამგეარად?
ეგ სასწაული საღმე თუ ხდება?
რაც სიხარული გულში ჩამდგარა,
წყაროს თვალივით ამოდულდება.

და ეს სალამო, ასე რომ ჰყვავის,
და ამ ფერების მთელი დიდება
პატარა ლექსის თავდახრილ ყვავილს
დილის ცეარივით დაეკიდება.

2. ვაკითხვა გიგსაფმი.

კაზე რომ გაიშლება მზის ბრწყინვალე სოსანი,
ძეელებურად მაღალი, შუქსავსე და სურნელი,
მინდა მას შევეკითხო მე, იმისი შეოსანი,
მუდამ მისი მეხოტბე, მუდამ მისი მსურველი.

იქნებ იმან არ იცის, რომ ის ღროშა ამართეს
უმშეობით დატანჯულ გმირებმა რომ ინატრეს?
იქნებ იმას ჰეონია, რომ იმასვე ანათებს,
რასაც ასი წლის წინათ უგზაენიდა სინათლეს.

მზემ თუ იცის, ნეტავი, რომ ის სხვა ხალხს დასცემის,
რომ უბედო ქვეყანა სამუდამოდ დახურეს,
რომ ფოლადის გმირ-კაცის რკინის ხელით დაწერილს
სულ სხვანაირ ცხოვრებას და მიღამოს დაწყურებს?

3. რ 3 ა 0 3 ლ 0 6 0.

სხივები თითქოს მღერიან,
რა შექნათელი დღე არი!
ჰაერი — ოქროს მტკერია,
ლაფვარდის თანაზიარი.
სტალინის დროშის ცერია
დღეს რომ ჩვენს ცაშე მზე არი.



ჩემი ქვეყანავ, ასრულდა
ოცნება ცრემლით ნაცვარი,
შენთა ვაეთა და ასულთა
ნაფიქრი, ნამოლგაწარი,
შენ მოიპოვე რაც გსურდა,
ოქროდ აქციე ნაცარი.

ბევრი ვაება გადაგხდა,
ბევრი მწარე სეი მწარეზე,
ბევრი მახეილი გადატყდა
შენს მოელვარე ფარებზე, —
დღეს ცველაფერი განახლდა
შენი მიწაწყლის არეზე.

შავი დრო მტრებს მოგისევდა,
ბორკილი ბრძოლას გიშლიდა,
მზე თუ გულს ვიხალისებდა,
ჩაგრძა გიკლავდა ვიშითა.
მძარცველი უბეს იქსებდა
შენის ლალით და გიშრითა.

შაგრამ მყის აენთებოდი,
თავს არ დაპირიდი შიშითა.
მტერს ცეცხლად მოედებოდი,
მიაწვებოდი მიჯრითა.
ვმირობის კლდეზე დგებოდი
და ხმალიც კარგად გიჭრიდა.

ცეცხლში გამომწვარ ჯავარდენს
დიდი ვერ ვიქნეს ზიანი.
მზე რომ ლაშეში ჩავარდეს —
დილით ამოხდეს ფრთიანი

დღეს ჩვენი ქვეყნის შევარცვებს
კა ფრთხობს უძარგვს მზიანი.



თითქმ სხივები მღერიან,
რა შადლიანი დღე არი!
განა ეს ოქროს მტკერია,
ლავგარდის თანაზიარი! —
წითელი დროშის ფერია, —
ეს ხომ სტალინის მხე არი!

4. 0 3 3 B 0 3 0 8 0.

ვცოლობდე — მქონდეს ქვეყნის ზიარად
სითბო, ალექსი, მზე და ყველილი.
არ ჩამჩრეს გულში სიტყვის იარა,
სანამ ბოლომდე ჩემს გზას გვიკლი.
მუდამ იღმისელის ეკუთ მყიდვირი.
ეჭველოდე მაღლა ვინც ცერ აფიდა.
მქონდეს საქვეყნო გულს სატყიდარი
და სიხარულიც, რასაც აეიტან.
სიმღერა ტყბილი, ხან ნაღვლით სავსე,
მიმღეროს ჩუმად გულმა მისანმა, —
მოვალე — დამემხოს ლავევარდი თავზე
და ელვარებამ დამწვას მზისამან.
გამომეუტოს მიწის კარები,
წავიდე ღდნავ გულდაწყვეტილი.
დამჩრეს ამ ქვეყნად სიტყვა ღარიბი,
ბელურასავით ფრთხაც მეტალი.

სიკედილს შემდეგაც ბრძოლა სტირდება
 ქვეუწად სახელის დავაკეაცებას.
 ზოგი ათას წელს თუ ეპიდება,
 ბევრი ათ წელსაც ეყლარ გისცდება.
 შცირე ხანს იფრენს პატარა ჩიტი:
 დაულეოთენ მალე ქორა-აჩწივები.
 გავჭრები, როგორც საღმო მშეიდი
 და ჩაძირული ბნელში სხივები.
 იქნება ჩარჩეს, როგორც ნაბშირი,
 მიწაში კუნძი ჩემეულ ძეალთა
 და დედამიწამ, ტევრად გაშლილი,
 ზედ დამტაროს კოჭალი კალთა.



რომ მის ორბიტის ბრწყინვალე რკოლში
მასთან ვბრუნავდე მზის ირგვლივ მეცა,
მივექროდე მიწა მზის წითელ დროშით ვართავავა
და შუქს მათოვდეს უსაზღვრო ზეცა.

თან ვფიქრობ: ნალექლს გული რად მივცე?

ვინ იცის, იქნებ ასი წლის შემდეგ
მეც სხვებთან ერთად ავძალლდე ისე,
რომ უკვდავების მწერეალზე შევდგა.
ჩემს სახელს აბა რა შუქი ახლავს,
შაგრამ სინათლედ ისიც ეყოფა,

კალთის ნაოჭში თუ შეინახავს
მას ჩენი ვრცელინეთ საქსე ეპოქა.

ჩემს დროს ვარდასულს როცა ღამხედავს
ჩენი მემკვიდრე — შორი თაობა, —
დიდ ბრძოლათა ნახავს ნალვერდალს
და გაუგონარ გამჩედაობას.

და როვორც ძეელ წიგნს იგი გადაშლის
ჩენი დლევების გმირულ განთიალს,
საღაც ამდენი ორბი განგაშებს,
საღაც ამდენი ცეცხლი ანთია.

ის ერთნაირად დააკვირდება
ამ დიდი წიგნის მთავრულს და პეტიტს.

ის წაიკითხავს და გაკვირდება
ჩენი თაობის ზლაპრული ბედით.

ნახავს ქვეყანას ღამე განათევს
და პირველ დილის აღორძინებას.

ბრძოლათა ელვა, ჩენ რომ გვანათებს,
მას ქუხილიერით მიედინება.

და რომ გამხედავს გამჭვირეალ შორეოს
და მოინიღავს ჩემს დროს სულ ახლოს
ლაქვარდში მქროლავ არწივთა შორის

მან იქნებ ჩემი ჩიტიცა ნახოს.

იქნება შერჩეს ჩემს სიტყვას ღარიბს
თუნდ ერთი სხივი სტალინის დროშის,
რომ ჩემს სახელსაც უღებდნენ კარებს
იმ თაობათა შორეულ დროში.



სევერიან ისიანი

თორმეზის ლაპტობა

კაშპავშირლებმა თეონულდჲე თიტანეს
დიდი სტალინის ბიუსტი

I.

ცაზე ცურავს ღრუბლის ტიფი,
ქვევით ბნელი ხევია,
ლაქვარდების ნეგატივი
ენგურს ჩაუხევია,
საჯიხეში ქარის ტირილს
ხენი დაურჩევია...

და ენგური გმინავს ხევში,
შემავი, მქუხარხმიანი.
ჩქარობს ყოველ მოსახვევში,
როგორც მგზავრი გვიანი,
ქარი ტირის, ქარი ხენეშის
უშბას ჯილავიანი.

მზემ მთებს იქით ამოწვერა,
ნისლმა იწყო მგზავრობა.
შესდგომია მალალ მწვერვალს
პირშიშველა თაობა,
ნეტავ ვაჟას აეწერა
შათი გამბედაობა!

ბევრის მცოდნევ, ბევრის მთქმელო,
უაშთა სწრაფო ტრიალო,
უფსერულებში დასანთქმელო
ჩანჩქერების ჩქრიალო,
შხარის თეთრო საფეთქელო,
უშბას შუბლის ფრიალო! —



ეს ხომ ბასრი ხმლების დარი
თეთრი ჭიუხებია,
არწივების ნაბუდარი,
შორს თეთნულდის მხრებია,
ხევში ჩისხევით ჩამომდგარი
ჩემი ძმების ხმებია!..

2.

მთებზე ქარბუქი ღებოდა,
ფეხეცეც წაეარნა¹⁾ არწივს,
რომ ვამარჯვება რგებოდათ
სამშობლოს ჭაბუქ არწივებს.

თორმეტი გმირი ომობდა,
თორმეტი ვეფხის სადარი,
რომ თეთნულდას გადასდგომოდა
მშობელი ქვეყნის სარდალი.

ადგილი პოვეს რჩეული,
დალგას ბელადის სახება,
ლრუბლები შემოჩეული,
ახლა სად მოინახება!

ეს ცამ დაიწყო ციმციმი
ბინდების დამაშრობელი,
თუ შორს ცისკარი იცინის.
მზის და ლავგარდის მშობელი?

არც ცაა ფირუზიანი.
ავაკის ჩანგს რომ უქია,
არც ცისკარია მზიანი, —
კობას თვალების შუქია!..

თეთნულდის შუბლი გაიხსნა
ყინულის ზარნიშიანი.
ლილეოს ხმები გაისმა. —
შეწყდა ნისლების შრიალი.

შორით შეირხა მყინვარი
ლავგარდებ — გადაფენილი,
ორბი შეჩერდა მყიდვარი,
მსხვერპლისთვის გადაფრენილი.

¹⁾ მთის ბილიკი

ერეოლით ამღერდნენ ველები
და მთები გოლიათები,
ზღვა სიხარულის ცრემლებით
გაისეს მწვანე კალთები.



ამღერდა უშბა მხნეგული,
ამღერდა ჟველა გრეხილი,
ამღერდა შმაგი ენგური
ქლდეკბზე გადაჩეხილი:

— თეთნულდის თავზე ქარ-წეიმით
ცის თაღი აღარ იალებს;
ისე ჩაიფრენს არწივი,
ფრთებსაც არ შეაშრიალებს.

შზე ისე გამობრწყინდება,
როგორც ბელადის ლიმილი;
ცისა და ქვეყნის დიდებას
შეერდს დაებნება ლილივით.

ისე გადიელის ღრუბლები,
თეთნულდს არ მოებურება;
ბელადთან ნასაუბრები
იხარებს მეაცრი ბუნება.

კაცი — ფოლადი ნათალი,
მთებს გადახედავს ალერსით,
ბელადი — ბრძენი, მართალი,
მწვერვალი უმწვერვალესი.

კონსტანტინე მიჰეილიძე

თმოგვის შიხე

თავით ლაუგვარდი გაგირლვევია,
გარინდებულხარ ზეიადად მდგარი,
გებრძეის მუდამ და ვერ მოგრევია
ათასწლოვანი წერია და ქარი.

ასე იდექი, ბრგე ციტადელი
გამშედაობის და სიქველისა;
მტერს არ დაუთხე კუთხე ნათელი,
მხარე მშობელი რუსთაველისა.

ბევრი კი იყო მომდგარი მტერი,
გადმოხლეწილი ბნელი ბრბოები!
ილებებოდა მეწამულ ფერით
შენი კედლების ციცაბოები.

როგორ იბრძოდა საწყალი მიწა,
მარად ნაჩევეი, მუდამ გეემული!
სამყდრო საწოლზე რამდენჯერ მიწვა
და კულაც წამოლგა ძალმოცული!

შენ კი ყოველთვის ფარხმლით ელავდი
უპატივებელ სტუმრებს ჩეული.
მტევარს გაატანე ბევრი ბელადი
ბამბის ქსოვილით თავშეხევეული.

სწებდი ურდოებს მკლავით მარჯვეთი,
მაგრამ გაშავდი, მსგავსად თუჯისა,
როცა დაეცა ტაო-კლარჯეთი
და ციხეები არტანუჯისა...

ბევრი გინახავს ომი და ზავი,
ხარ ვალმოქლილი დიდიხანია,
და ჩვენს პრეცენტელე ეამამდე თავი
დაუნგრეველად მოვიტანია.



საქართველოში ციხეა ორი:
ერთი მათვანი — თმოვეი წნიერი,
ხოლო მეორე — უბადლო გორი,
გულმაგარი და მქერდვანიერი;

გორი, დადგმული საოცრად ბორცვი,
ძუძუ რძიანი დედა-ქართლისა,
ჩვენი ოცნება, სისხლი და ხორცი,
ფუძე სიმტკიცის და სიმართლისა.

ითვლის უთვალი დღეებს მღელვარეს
მისი მაღლობის ნაბრძოლი ზღუდე
და ცას შეჰყურებს მზით მოელვარეს,
როგორც არწივის დაცლილი შუდე.



ეროვნული ბიბლიოთეკი

ვარძის ცყარო

როგორც იდუმალ განძთა მოლარე
და როგორც თვითონ ფარული განძი,
კლდოვან გეირაბში უხმოდ მწოლარე
თვლემით განიცდი დროსა და მანძილს.

უმშერ დაბინდულ თვალთა კრიალით
საუკუნეთა უჩინარ ხავსებს
და გეზმანება სინესტით საესე
ლარსის ხეობა და დარიალი.

მოგონებათა აქლდამა ცივი,
ცივი ოცნება და ერუანტელი, --
საღაც კანკალებს კიდევ კანდელი
და საშაჯურზე ციმციმებს მძიევი.

შანიაკები და გვირგვინები
ჩაგიტანია უფსკრულში დენით.
ო, ჩა დუმილით გავსილან კლდენი
და განდევილთა მყუდრო ბინები!

დიდის დიდების პერკულანუში
გადასულრული უმშეო ხანით...
ნახე რამდენი უქმები ხანი
და რაოდენი ტურფა ხანუმი!

ახლა მნახეველებს ნატერით მოგველი,
და გეჩევნება გვირაბის ბნელში,
რომ, აზარცე შის ტრიალით ხელში,
მოვიაბლოვდა სარგის თმოგველი...

კონსტანტინე გამსახურდია

ლილის კონსტანტინე გარევანის მარჯვენა

რაინდული რომელი

„ხელორმდებლის წყალი მისვამს,
მცხოვა ისე ამიგია,
დამიტორეს, მცდავი მომცრეს
რატოშ კარგი აფიგია“.

პროლეტარი.

დასვენების დღეს, როცა ტფილისელები კომფორტაბელური ავტოებით მიემგზავრებიან ქალაქს გარედ, ჩვეულებისამებრ ჰიპოდრომზე მივდივარ ხოლო დოლის სეზონი მოთავებულია და ნასუქალ ულაყებს პრის ავნებს საქართველოს სამხედრო გზაზე გაჯირითება. ჰიპოდრომზე კარგად იციან ჩემი გარდაუვალი ენება ცხენოსნობისაღმი.

„სეირა ვნებავთ?“ მეუითხება ნოშრევანი, ძველი შეჯიშიბე.

„სეირა ჩინებული ცხენია, მაგრამ დაცდილი მაქვს, მანქანების ეშინია.“

„ნავარდა?“

თავათვე დასძინა:

„ნავარდა ხიდზე გასვლას უფრთხის.“

„დარღიმანდისათვის რას იტყვით?“

„ოჟო, დარღიმანდი ყველაზე მეტად ღინჯი ულაყია, ისე მანქანებს ეპუება, ხიდებზედაც უწყინარად გადადის.“

დარღიმანდზე შეჩერდა ჩემი არჩევანიც.

სამხედრო გზა ულამაზესია მსოფლიოს დიდ გზათა შორის, ხოლო დარღიმანდი, ცხენთა შორის უსაჩინოები.

ცხენოსნობა უდიდესი დასვენებაა ჩემთვის. როცა თავწერილა, მკერდ-განიერი, მუხლმაგარი და ყურდაციებილი ცხენი შემომხედავს შრომი-სავან წელში გადრეკილს, წინაპრების ჩემის უშრეტი ენერგია კელა იღეოდებს ჩემში, ასე მგონია ხელახლა ეშობილვარ მეოქე და ჯერაც არ მეგვმოს სიარულის, ხტომის და ჭენების სიხარული ამ მშვენიერ მიწაზე.

ვეფერები დარღიმანდს თელის ფოთოლისებრ პაწია ყურებზე, ქლია-ვისფერ თვალებში შეეცერი და ჩემს სულში გადმოდის ის მოულალავი-ძალმოსილება. ცხოველისათვის ასე ჭარბად რომ მიუცია დედაბუნებას.

მოხდა ისე, რომ ეს დარბაისელი დარღიმანდიც გვაფიცადა. ცხენი ვულომისანია, მხედრის განწყობილებას შეიცნობს ხოლმე წიგნისა.

უწინაც ვმჯდომარეობ დარღიმანდზე, იგი საქართველოს უკანასკნელი უმინდა სისხლიან ულაყოთა შორის, მრავალი დიდი ქადაგის სამართლის უსახელებია ჩევნი ძვირანა, ამიტომაც მოკრძალებულად ეველევო მას.

შატარებებით დავლილი აქვს საბჭოთა კავშირის დიდროონი ცენტრები. შეჩერებულია ლოკომოტივების ბლავილს, აეროების ზუშუნსა და ტრაქტორების ბუბუნს.

როგორც ზოგიერის, კაცავანს, ცხოველსაც ასე სჩევერა, როცა შენ ქელმოლრეკილად ექცევი, მას პგონია, ჩემი ეშინია, თორემ რად მომეპურობოდა პატივისცემით?

გამელდა დარღიმანდი და მეც ისეთ გუნებაზე ვდგავარ, ყარაყოფებულის ვიკილი თუნდაც გამმულ კენებით, მაგრამ ეზოგავ დარღიმანდის იშვიათ ტალანტებს.

თავის შევენიერს, დიდროონ თვალებს უბრიალებს კრიალა აეროებს, შეუძმეულა საბარგულებს და ყოველ წუთში მზადაა გამიტაცის, გადანოქანის სივრცე.

მე არ ვამტყუნებ დარღიმანდს, ასე ხელალებით რომ აუჩქროლდა მოულავი ულაყის მდევრარე სისხლი.

ტფილისი თვალსა და ხელს შეა ვიზარდა, გადიდებალაქდა.

ლაპლაპებს უზარმაზარი კოცონი მთაწმინდაზე, სტალინის ზეგანზე ელავენ ელექტრონის ლამპიონები, ჩელიუსკინელთა ხილისა და სტალინის შესანიშნავ სანაპიროს გასწერივ ელექტრონის ბურთები ტრიტივებები შტკარში, ჩაბლავიან ვახელებულ ულაყს თვალებბრიალა აეროები ფურში, დაიზმულებენ და გარბიან ვუდრონით მოგებულ გზაზე.

ზუზუნებენ ქარხნის სირენები, გუზგუზებენ რაიონებისაკენ მიმქროლავი ტრაქტორები, შხიარულად წერიალებენ ველოსიპედები და დონჯიდარიმანდი იფხორება, ფრთხება, ეამიდან-ეამშე მოუსვენრად ფრიტურებს და ლეპას ლავაშს.

ვეღარც საყვერი აქვებს, ვეღარც სამკერდე. დაითრევს გედის კისერისებრ გადრეკილ ქედს და წამართმევს თავს.

ისევ მოესდრევ, დავიურვებ, მაგრამ განზე გოგვის მოყვება ერთბაზად, დაიგრძელებს საღავეს უკითხავად და მოყვება ჰევეებით სულის.

ბოლოს მეც მომელალა მელავები, ნებანებს მიუწვევ, ასე ვიფიქრე. გულს შეიჯერებს მეტე კენებით მცირე ხანს.

დიღმის ბორანთან მოსწყდა ადგილიდან და გამიჭენდა. მიეყევი სულ-მოსწრავებულ ულაყს და ასე მეონია, ათასი ცეცხლოვანი თვალი მოგესაფელებს უკან ქშენითა და ბუბუნით.

უმატა კენებას ცხენშა, გრძნობდეს დარღიმანდი თითქოს, რომ მანქანების ქალაქში აღარა უკვე ცხენის აღგილი, გარბოდეს იგი ტეილისი-ნების ქალაქში აღარა უკვე ცხენის აღგილი, გარბოდეს იგი ტეილისი-

მიქროლავდეს ქალთაცხელი ულაყი, რათა დალუპვას გადაარჩეს თავისი ჯილავი.

ქალაქის მიჯნები მოვათავე და ჩირითზე გადავიყვაშე წარმოშობი იქნა.

რაი მოგვიანებით მომიხდა ტფილისიდან გასცელა; იშინული გამზღვეული მქონდა აეჭალიდან შემომრუნება ქალაქში და ამაღაც აღარ მენახა ჩემი საყვარელი სცეტიცხოველი.

თუმცა ამ ტაძრისათვის თვალისშევლება, ყოველ დროში საწუკელია; დილით ხვლიერისფერია იგი, მოუღალეო მზით გაშუქებული, შედამებისას ოქროურვილია, ხოლო მწუხრის შემოღვომისას, თუ ვარსკელავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუმე პარმონიით აღსილი ხაზების ზესწრავება.

ჩემთვის საქმარისია ოდნავ, ოდნავ მაინც მოვერა თვალი ცაში ატყურცილ სიმღონიას ლოდებისას, დე, თუნდაც ჰენებით გამატაროს ქედფიცხელმა დარდიმნდმა მის გვერდით.

წამიერად თვალი შევავლო მწუხრში განდგომილს და გავეცალო კვლავ.

სწორედ ავჭალისთან დამიურთხა ცხენი.

ტრაქტორისათვის ფურგონი გამოებათ უკან, გაუსწორდა თუ არა, მოულოდნელად შემოესმა მანქანის ბუბუნი, ისეც წამიროვა თავი და გაკენდა საშინელის სისწრავით.

მე ისე მიმდა მისი თავზეცხეტილი ქროლვა, მაინცდამაინც არ მივეძალ და მიეცუშეი სადაცვე.

ზაქესის ელნათურები ციმული მიებერენ მტკვარში. ამ ათასთვალა პოლიფემის ნათელი მისდგომია ზედაშენის მთას, რომელიც დემონების საუფლოდ მიაჩნდათ ძეველ იძერიელებს ოდესლაც.

ჯვარის მონასტრის გასწრივ ძლივს ავლაგმე დარდიმანდი.

წევებოდა ღამე ზედაშენისა და სარკინეთის მოების უბეებში.

წევის შევები შვედებოდა სახეზე.

მტკვარი შესდგომია პომპეიუსის ხილი.

გზა და ხილი უწნაურ ფიქრს აღმიძრავს ხოლმე. ამ ხილზე გაუვლიათ რომაელ კომისულსა და მის ჯარებს, განა მარტო რომელთა ლეგიონებს, — სარკინაშების, სელჩუკიანების, ურუმთა და ირანელთა ურდოებს.

მტკვარზე ტრეტიებს ეს ხილი უკვე და იგი უკვე აღარაა დალევანდელისა და კუშინდელის მტკიცე კავშირი. წარსულის უტუფი მოწმეა, დღეანდელობისთვის საესებით უხმარი, მუშეუმის ექსპონატად ცერ გამომდვარა და სადაცაა წალევაეს მას მტკვარი, როგორც ქიმერას მომაცელის თვის მოუხმარებელს.

სატახტო ქალაქში მისასცლელის და მექლიტის ჩოლი ჩელიუსკინელთა ხილს წაურთმევია მისთვის, ისეც, როგორც ჩემს სამაყი ტფილის პირველობა მცხოვრისათვის.

უკვე მცხოვაში ვარ. ლრუბლებით ჭაგრავნილი ცარგვალი დაწმობია სერტიფიკატის წვერიან გუმბათს, კიდე კიდე ქარვისფერო ბაზარები მოუჩანს ცას, მრავე ზურიან მწევერვალებზე ელავს ხანრაქანი. კრისტიანის სერტიფიკატის გალავანთან თავდება ჩვენი ეპოქის ჩემი და სინათლე, მის წიაღშივე იშვება საუკუნო რიცხვით მეათე თავისი მრავე ლამებითა და სიმშვიდით.

კარიბჭესთან დაექცევითდი, რამდენიმე ლანდი ჩალიჩობდა ტაძრის შესავალთან, ქუჩაში.

ექვთიმე თუ შინაა მეოქი, ეკეითხები უქუდო ბიჭუნას.

ყმაწევილმა თავი გააქნია: აქ არავინ მეცულებათ ასეთი.

ვილაც დედავაცი მომეახლა თავსასურიანი.

ე მანდ ეზოში ზისო ბერივაცი, იმას ჰკიოთხეო.

ჭიშაგარი შევალე, დასადაცებელი ცხენი. შეეიყვანე გალავანში. მარცხნია კუთხეში, ზედა გალავანზე მოშენებული შრამელის წინ წელში მოდრეული ლანდი იჯდა ლოდზე.

ცხენიანად ჩა დამინახა ლანდმა, ზეწამოიკრა, მომიახლოვდა.

რომელი ხარო? შემძეკითხა განცეიფრებული.

ხმაზე შევიცნი ექვთიმე, მან კი ვერ მიცნო, ვიდრე გვარი არ კუთხარი ჩემი.

გაიხარა მოხუცმა, მარჯვენა მკერდშე მაქოცა, ისე როგორც ოდიშე-სებს სწევებით ხოლმე. ცხენი ჩამომართვა და ხის კიბისაკენ გამიძლვა.

სიბერეს დაეპატარავებინა ისედაც ტანმორჩილი მოხუცა. ოცდაათა წლის წინად, გალობას მასწავლიდა იგი, ძელ სძლის პირებს ავროვებდა, ძელ ხელნაწერებს, ფოლქლორის ნიმუშებს, შელოცვებს, ზღაპრებს და ძელ მონერებს.

ასეთი კაცები ჩვენი მეზეუმებისა და ძეგლების გარშემო დაფუსფუ-სებენ ხშირად, ისინი ძელი კულტურის ნისუფრალით იკვებებიან.

ექვთიმე ჩემს მექსიტირებაში დარჩენილი იყო, როგორც ქერა, სავსე-ბით ქერა კაცი, რომელსაც სიმინდის ხაშარივით ბრჭყვიალა, ვრძელი ულვაშები ჰქონდა.

ახლა საესპერი თეთრი თმები მოსავდა მას და ვრძელი, ვრძელი წევრი, ისეთი, როგორითაც პრიმიტიული შაბრტორები ბიბლიურ ლმერთს ჰქაზე-დნენ ხოლმე სოფლის ეკლესიებში.

ექვთიმე ჩემის დაკავირვებით ერთი მათვანია, რომელიც აველვან საკურონი არიან, მაგრამ როცა ადგილზე მივლენ, შედამ ზედმეტნი აღმოჩნდებიან ხოლმე. ისინი შედამ ახალსა და ახალს მიზანს ეძიებენ ცხოვრებაში, მაგრამ ეკრისად პოლონები თავისითავს, რადგან მათზე ახდება ხოლმე ყოველთვის: „მრავალნი არიან რჩეულნი და მხოლოდ ერთმან მოიხვეჭოს ნიჭი“.

ზოგიერთი ადამიანი თვისი უმნიშვნელობითა ხდება შესამჩნევი, ამის ტომაც იგი მუდამ თვალში მხედვებოდა ხოლმე.

ხან გალობას ასწავლიდა ძეელ-სენაკში, ხან ზუღაცილი, მეზეუმის კუსტომისად იყო, ქუთაისის პირველ კინოში გამგედ, (წარმოადგინა, ერ მღალატობს), ხანაც სტატისტად ქუთაისის თეატრში, ნერვული მუჭატყაკების როლს ჩინებულად ასრულებდა სენაზე, ათი წლის წინად ეთნოგრაფიული ხოროებს დაპყვებოდა, ერთ დროს ტელიკისში ბუკინისტობდა, მას მუდამ ჰქონდა საესებით იშვიათი, ძეელი წიგნები და სურათები. ერთ შევენიერ დღეს მის პარი დუქანში საპარიკმახერო აღმოვაჩინე და ამის შემდეგ იგი გაქრა პირიშონტრიდან.

მცხოვაში ჩასვლის კვირაძალში შემთხვევით გავიგე: სკოლის მეთვალყურედ ყოფილია თურმე.

დიდხანს ვისხვდით მე და ექვთიმე აიგანზე.

გაიელვებდა, მომტრებოდა ცაზე სკოლის სილუეტი, კვლავ დაბრელდებოდა ირგვლივ. შეუდეგებოდა ცას უცნაური ცახცახი, ახლა უფრო ძლიერი გახდებოდა ელვათა კრთომა, ჯვარის მონასტერი გამოჩიდებოდა, ზედაშენისა და სარკინეთის შეუჯავრიანი მოები.

იძალა ქარმა, აღმოსავლეთისაკენ გადალალა ლრუბლები, შემოდგომის ცა მოიწმინდა და ისეთი კაშაშა მოვარე დაადგა სკოლის როგორიც მაისში მინახავს ხოლმე.

უსიტყვოდ შევსცეროდი ბნელში მთვლემარე ტაძარს და მის გარშემო მოჯარულ კბილოვან ქონგურებს. ღამურები უკანასკნელ ფურზულს უკლიფნენ ეზოში და ისეთი უცნაური მყუდროება იღვა ირგვლივ, თითქოს დროსაც დავიწყნით სრბოლა.

თავზე დაადგა ტაძარს მუქლურჯი ცარგვალი, რომლის ქუბებს გალავნის ქონგურების ნაჩრდილები ისე ხატადნენ, როგორც ვიშრისა და იასპის აეურებს.

რაც უნდა დიდი ქმნილების წინაშე იღვე, თვით უმნიშვნელო ადამიანიც მეტ უურადლებას მოითხოვს შენგან.

მე გამოვეთხე ექვთიმეს თავისი ცხოვრების ამბავი. იჯდა ტაძრის ჩრდილისავან წარმომდგარ ბნელში ჩია მოხუცა და მომითხრობდა.

ეს იყო ტრაგედია ისეთი ადამიანისა, რომელსაც მრავალი რამ აინტერესებდა და ყურადღების დაფანტულობის წყალობით ყველგან მოსცარეოდა ხელი. უკანასკნელად ათი წელი დაუყვედა მცხოვაში ამ უცნაურ კაცს, რომელიც ყოველ წელს სამ სამსახურს იცვლიდა ხოლმე.

ამამად ნუმიშმატიკით ყოფილა თურმე გატაცებული.

ადგა, ოთახში შეეიდა, ჭრაქი გამოიტანა და პარი ქისა მონეტებით ჩავსე. ეს ფულები საქართველოს მეზეუმს უნდა ვუანდერძოვო სიკედილის წინ.

ძეელულხური სპილენძის მონეტები მაჩვენა, თამარის, რესულანის, ლაშა გიორგის, დავით ნარინისა და ერეკლე მეფის თეთრები. ეს ყველაფერი დმანისის, უფლის ციხის და გელათის სანახებში ჰქონია ნაპოენ.

ექვთიმეს მოძრავი ბუნების ამბავი რაյი ვიცოდი, ფამილიური/ მცხა-
თიდან თუ აირებ მეტქი აღვილის გადანაცელებას საღმე? ერთოვეული

უცისთან ან სად წავიდე, შეილო?

პირების უკავებელი

ორი წყება ცოლშვილი მიწას მივაბარე ამ ოცი წლის მანძილზე. უკ-
ვე მიხრწნილებაში გადამდგარი ვარ.

ერთადერთი რაც ცოორთა, სულ ცოორთა მაკავშირებს ამ ცხოვრებას-
თან, ეს არის ამ ტაძრისადმი სიყვარული წარუხოცელი. აქ ვჩალინობ,
შეილო, ამ საყვარელი ქმნილების ჩრდილის ქვეშ, ვცვლი ამ შესანიშნავ
ტაძარს და იგი ჩემს თვალში ღვთის სახლი როდია, არამედ დიდი ხე-
ლოენების იგავმიუწედენელი ქმნილება, რომელიც, როგორც ჰქედავ,
თვით ღმერთშე უფრო ხანგრძლივი ილმონდა.

ასე დავდივარ, დავბორიალობ შეილო ჩემს წინაპართა საფლავებსა-
და აჩრდილებს შორის. წრეულს დაიწყეს ამ ტაძრის შეკეთება, იმ ხარა-
ჩოებს ხომ ჰქედავ, გუმბათზე რამდენიმე სარქმელია კიდევ ჩასადგმელი,
ელური მტრედები ჩადიან ტაძრში.

მეც დავდივარ, სკორეს გადავაცლი ხოლმე ვახტანგ გორგასალისა
და ერეკლე მეორის საფლავებს.

განა ჩემისთანებს გაუწირავთ თავი ამ ტაძრისათვის? ცამეტი საუკუ-
ნის მანძილზე აწყდებოდნენ მის გალავანს მტრის ურდოები.

სარქინოზი მშულ კასიმი ეძერა მას პირველად, შემუსრა და აქლემ-
თა თავლად გახადა იგი, აღადგინეს, შემდგომ ამისა, სელჩუქმა ალპ-ას-
ლანშია იავარქუ იგი, კულავ აღადგინეს და თემურ-ლენგმა დაანგრია ისე-
ეე, შაქ-თამაზმა და შაქ-აბაზმა მილეწეს მრავალგზის.

მერმე ის იყო, მოელი საუკუნე აწვიმდა ტაძარს, იხალ დროშიაც
ყაცს აჩ მოპერებია მისი შეკეთება, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ,
კენაცეალე მის გადაახურვინა იგი წრეულს და გალავნის ქონგურები
შეაკეთეს, ჩრდილოს ფასალზე ხარაჩიები ჯერაც აჩ მოუხსნიათ, კუმბა-
თის სარქმელებშიაც ჩასდგამენ ამ დღეებში თითო მტკაველა მინას და
ჩემი აქ ყოფნის მიზანიც აღსრულებული იქნება კიდევაც, შესაძლოა ჩემი
ცხოვრებისაც "... (ეს სიტყვები მცირეოდენის გულის ტკიცილით იყო ნა-
თებამი მის მიერ.)

„ხვალ დილის აპყევი იმ ხარაჩოებს და ისეთ რამეს გიჩენებ. რაც
შეთავონებით აღვავსებს უთუოდ.

მე ასე მესმის შეილო, მწერალობა გმირობის გამოსარჩევებაა მხოლოდ,
მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი და სხვა არათერი.

ჩრდილოს კადელზე ერთი წარწერაა და ქნდაცი ორი კაცისა. შენი
თვალისა და მარჯვენის საქმე იქნება ეს, თუ როგორ ამოიყოთხა ცხრა
საუკუნის მანძილზე ქვაში ჩაერიც საიდუმლოს დღემდის შეუცნობს".

იმ ლამეს აიგანზე მოვისურევ წოლა. გათენებამდის, მოუსვენჩად ვძორებაელი, ცხენის მიერ გალებული ჩქამი მესმოდაც ჭრულებულიმან-დი ფრუტუნებდა, ფეხებს აბაკუნებდა და ტებილაჟი უცმისტესებული მხრამუნებდა თივის. თანაც პირქვე დამხობილი ბნელში, გათენებას ენატრობდი, ალთქმული საიდუმლოს მალე შესაცნობად.

ცისკარმა ყური ამოპყო თუ არა, შოშიებმა ასტეხეს კუპინი. მერმე ის იყო თავზე წამომადგა მზით გაბრწყინებული, ხელიკისფური სვეტი-ცხოველი, იგი ისეთი მშვენიერი იყო იმ დილას, როგორც არასოდეს მი-ნახავს მანამდის.

ავყვევი ხარაჩოებს ჩრდილოს ფასადზე.

ადამიანის მარჯვენა ვამოუხატაეს კედელზე ასტატს. გონიო უპყრია მას.

იქვე წარწერაა ასეთი:

„ხელი მონისა არსაკიძისაი, რათა შეუცდოთ“.

შორისახლოს უცნაური ქანდაკია ორი კაცისა.

ერთი, უწვერული ჰაბუყია ქართულ ჩიხაში მორთული, ხოლო მეო-რეს სახედაღრეჯილ მოხუცს პირი დაუბრინია ვაგლაბად. სპარსული სა-მოსი აცერა და გულბოროტების იერი ვაღაპვრავს სახეზე.

როცა ხარაჩოებიდან ძირს ჩამოვედი, კრუტა თვალებით მიღიმის მო-ხუცი.

„ეს უწვერული, კონსტანტინე არსაკიძე, ხოლო ჩამურიანი მოხუცა, მისი ასტატი ფარისმან სპარსი“.

კიდევ ვაჩვენებ ერთი კაცის სახეს, ამ ჩეენ დრომდის მერთალად მოლ-წეულს“.

დღიდანს აფათურა ხელები უბეში, ბოლოს ძეელთაძეველი მონეტი ამოილო ქართული.

ცხენოსანს შავარდენი უზის მარცენაზე და ასომთავრულით წარწე-რილია ზედ:

„მეფეთ მეფე გიორგი, მესის მახვილი“.

ეს იყო და ეს.

შელიწადზე მეტა, რაც ეს ამბავი ჩემს სულში სდოლი, ბოლოს იგი დაიწრიტა, ჩემს წარმოდგენაში შედედდა, სიტყვამ ხელფეხი შეისხა და გადმოინთხა ქალალზე, როგორც ნათელი მითი, საუკუნოთ არმერიდან გადმონაერნი.

I

სწორედ იმ წელს, როცა გიორგის ბრძანებისამებრ სამი ეკლესია მოა-თავა ფარსმან სპარსმა სამცხეში, საქართველოს კივჭავი შემოესია.

მების ღრუბელიერით ლაპნელა მან აღმოსავლეთი, შირვანიდან წამ-სული ქვემო ქართლს მოედო, მტკვარს აღმა აპუვა და ბასიანამდის გა-ოსხა ნათესი.

ამობინა შეფერ ფარსმანი და უბრძანა მოესრა სირთ.

ტფილისი იმეამად სარკინოზებს ეპყრათ, ფარსმანი ამიღავ ქარებზე იყო ნამყოფი, ვიორგის მამას, ბაგრატ კუროპალატს ტრავ ჭუყულ იყო, ჯერ კიდევ სიყრმეში ჩამოყვანილი.

ქეისმოთლელთა და კირითხმუროთა უხუცესი, იღუმალთა მიმთხრობი იყო ფარსმანი, არაბულ ალქიმიაში ურიად განსწავლული, უებარი ფარსკულატრიცეცელი, შესანიშნავი აქიმი, უცნაური მეწამლე და მშხიბავი.

ფრიად ბნელ ამბებს უკავშირებდნენ მის სახელს ცურუმორწმუნენი, იმასაც ამბობდნენ, გველი ჰყავსო ფარსმანს ლაგამამოდებული და ზედმჯდომი დაპერისო იყო არაგვის ვალებში. სამი კეირის მანძილზე ამზადებდნენ წამლებს ფარსმანი და მისი შეგირდები, ბოლოს ჯადოსნური რამ სიოხე შეკეაზმეს, მამასახლისებს დაურიგეს, ლეშები დააწამლინეს და ხეგბზე გაატანინეს.

გაუმაძლარი სირი მიეტანა მძორს და მოისრა სრულად.

შემდგომ ამისა, წლის მიწურულამდის მშეიღობა სუფეცდა საერისთავებში, ბერძნებთა კეისართან მტკიცე ზავი შეიტა, ბაგრატ კუროპალატის მიერ მრავალგზის გვემული განძელი ფადლონი ხარჯს აძლევდა მეფეს; ამ მავალითით დაშინებული ტფილისელი ამირიც გატრუნული იყო, სარკინოზები ჯერ კიდევ ბოვინობდნენ შერის ციხეში.

გულმოცემული გორგი დადიოდა აფხაზეთსა, სამცხესა და ქართლში, ავებდა ციხე-ქალაქებს, აგარებს, და ეკლესიებს, ხანმოკლე ზავის დროს ხანგრძლივ ომებისთვის ემზადებოდა.

ახალ წელს მცხოვაში იყო ტაძრეულითურთ გიორგი, ქათალიკოსმა მელქისედეკმა უთენია უკულია, საწოლის დარბაზს მოადგა ოქროითა, ვერცხლითა და ბრძოლებით გაესილი ხომილი, კლარჯეთილან ჩამოტანილი ძელიცხოველის ჯეარი მიაჩინა პატიოსანის თვლებით მოოჭვილ ლუსუმაში ჩადებული და ძეირფისა ხატი ამინაშატისა.

დილიდანვე ეწვერ შეფერ ერისთავენი, ზეიალპისალარი და მსახურთუხუცესი, მანდატურთუხუცესი და მსაჯულუხუცესი, ეზოსმოძღვარი და ჩუხჩერახი, მოლაპრეტუხუცესი და მელინეტუხუცესი. მონადირეთუხუცესმა სამი ქორი მიაჩინა ფოლადის ფერი, შეიდა შევარდენი ლაზიკოდან ჩამოყვანილი, ერთი თავიც ველური ეშვისა საესებით მოოქროვილი.

მერემეთუხუცესმა და სამშა ერისთავემა შეიდ-შეიდი ცხენი თვითოვეულთა.

ერისთავებმა ისრებიც მოაჩინეს შეფერ, მსხეილი ბოძალი დიღნადირთათვის, ქეიბურნი მხეცთათვის, ხარჩა და ქიბურჯი ფრინველთათვის იღდ-დიღნი კაპარჭინი საომარნი.

მიიღო მთელი კონა ისრებისა ბანჯგველიანმა მამაშე ერისთავემა, რომელსაც ლომიაცად უხმობდნენ თავისი დიდი ინაგობისა და ვაუკაცობის გამო, ჭრელი და მტრელი თვალები ისარივით მიაკდო ტახტზე მჯდომარეს და წარმოსოფერა:

„მრავალგამიერ ჰყოს დამბადებელმან ყოველთამან ზეცინა შენი და ისარინი ესე გულსა შინა განერთხოს მეფობისა შენისძ ორგალია. წყეულიმც იყოს ყოველი გულბორიო და კვევამნედვარის მუჭატებულნისაა“.

გიორგი მდუმარე იყო ბუნებითგანვე, კაცი არამერიკისტი მისამისებური-ად დაკვირვებული. მან ხმალიერი შეავება მზერა ისრიმისფრერ თვალებს, დათანმწერლ, თეთრ წარბებისქვეშ თრითენებსაცით აწრიალებულთ, შემდგომ ამისა, სპასალარისაკენ გადაიტანა მზერა.

თავმოლრეკილი იდგა ზეიად სპასალარი, წარბშეუხრელად ისმენ-და მიმამშის სიტყვებს და აგურის იატაქს დასჩერებოდა რაღაც უცნაურ ფიქრში წასული. უზარმაზარ ხმლის გადას მოსჭიდვებოდა მისი ფაჩუნი-ერი მარჯევნა. (ყველანი უხმლოდ იდგნენ ვარშემო, მხოლოდ მას ერტყა დარბაზობის დროს ფოლადის ჯაფარდენი).

პურობა მოთავდა და ნადიმი დაიწყო თუ არა, მონადირეთ უხუცესმა, ზაზიერებმა და მარეკებმა ერისთავების მიერ მორთმეული ცხენები წა-ასეს მეფის ნაკრძალში, ხმლით დაყურევინეს თავები და ნაერთალი გა-მოჰკერეს ირგვლივ.

ღამემ შემოუსწრო ნადიმს, მემაშხალეთა მაშხალები აანთეს, მექურ-კლეთა სამაშხალე ქონი და ალყა შემოზიდეს დარბაზში.

მეფეს მოლხენა ეწადა იმ საღამოს, მავრამ სპასალარის მოწყენით მდუმარებამ გუნება გაუფუჭა ანაზღად.

ნაშხალამევს გაიყარნენ დარბაზისერნი, ორი მემაშხალე ანთებულის მაშხალებითა ქათალიკოსს წარუძლეა წინ, თითო-თითო სამთავე ერის-თავთა.

მეფემ ღამენებისა უსურეა სტუმრებს, ზეიადს წამუყო, მემაშხალენი დაითხოვა და წინ დაისვა სპასალარი.

სრული მყუდროება სუფევდა დარბაზში, თაფლის სანთლები ბეუტავ-დნენ ნიშებში, ნასმურებზე ლოყები შეფაქლოდა ჭაბუკ მეფეს, მავრამ უგუნებობა ვერ დაეთრგუნა ლვინოს.

მცირე ხანს ისხდნენ ორიენტი ასე მდუმარედ. ჭოტის ხმა მოდიოდა კათალიკოსის ბალიდან, გუშავები პყიკოდნენ უცარსკელავო ღამეში.

თავი აიღო გიორგიმ, ჯიქურად შეხედა სპასალარის შავათშეყრილ წარბებს და უგუნებობის მიზეზი ჰეითხა.

აზ მინდოდაო ახალ წელს აუგ ამბავთა მოხსენება მეფისათვის, თავი იმართლა ზეიადმა, აწ შეალამე გადასულიაო და ამიტომაც უამბო შემდეგი: სწორედ წინა დღით მსტოვარებს უცნობებიათ აქ მოთხრობილი მისოფეს.

კვეტარის ერისთავს თალავეა კოლონკელიძეს ძალით უთაყვანებია ფხოველნი და დიდონი, მათ პყოლიან ძერძული, ლილლენი და ღალაი და ის თემები, რომელნიც ტილიქამიათა მეზობლად ბინადრობდნენ მაშინ.

არავეის ხეობაში შემოჭრილან საერთო ჯარით, ციფების შემთხვევით, უზრუნველყოდ გაუტეშიათ ციხისთავები, რაღანაც უკალიან შინაკაცები ჰყოლიათ წარმართთავანნი თურმე.

ურარცხული

მამამშე ერისთავის ერთადერთი ვაჟი ჭიაბერი გურიაშვილი შემოჭრუნებია კოლონკელიძეს, მაგრამ უვნებლად უკუჩელალა და ქორსატეველას ციხეში ჩაკეტილა მცირედის ჯარით.

არც ის დაუმალავს ზეიად სპასალარს, ამ შეტაკებისას მონლოდ ცამეტი ფხოველნი დაუკოდნიათ ისრით და შვიდი არაველი საქმაოდ მსუბუქად.

შემდგომ ამისა, შესევეით თურმე კოლონკელიძე თავის ლაშქრით არავეის ხეობას, ეკლესიები გადაუტევეს, ხატები შეუმცურავს, ხუცები და ბერები სამრეკლოებშე დაუკიდნია თოკით, ბორცვებშე ბომონები ალუმართავთ კვლავ, არაველებიც შეერთებიან ფხოველთა და მათთა მიმყოლთა, ლაშეები უთევიათ კერძებისათვის, ძენი და ასულნი შეუწირავთ უძეველესს წესისამებრ.

• სამი დღე და ღამე როკავდნენ თურმე ბომონების წინაშე და გამარჯვებას ზეიმობდნენ ლუდით ვალეშილი ბრძოები.

ეს მომხდარი სწორედ იმ დღეს, როცა მამამშე ერისთავი მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა.

თავი ჩატენილრა ვიორგი პირველშა, ამ ამბის შემცნობშა, თვალწინ დაუდგა მამამშე ერისთავის ისრიმისევრი თვალების ყალბი ციმციმი. როგორი ნირშეცვლილი ეჩერნა მას მამამშე ერისთავი იმ წუთში? ნუთუ მამამშე იყო იგი, თუ სატანა ჩისვლოდა მას გვამში?

მერმე ვინ?

ბაგრატ კუროპალატის განუყრელი მევობარი, ფადლონ ამირასთან რომებში, შირიმნის ბრძოლაში ვიორგისთან ერთად მრავალი ჭირის ვადამძღველი.

განა მამამშე არ უდგა ვიორგის მხარში როცა „განდგა ქვეყანა პერეთ-ეხეთისა და ღადრობითა აზნაურთათა შეცყრობილ იქმნენ ერისთავენი“.

ბოლოს ესეც მოავონდა ვიორგის ნიალის ველზე ბერძნებთან შეტაკების პირველი ღამე. ჭაბუქმა მეცემ ხმლით გაპევეთა ბერძენთა მთავარისარდალი, შემოაბრუნა ცხენი თუ არა, ბერძენება შედარმა თორიაში ცხენი მოუკელა მეფეს და მარჯვენა წვივი გაუგმირა შებით.

ისკუპა მამამშე ცხენილან, ბალლივით აიყვანა ხელში ჭაბუქი ვიორგი, საკუთარ ცხენზე შესევა, ხმალს ხელი გაიკლო და ისე დაიფრინა შტერი (შევარდენ დარევებით ლალლათა გუნდს).

ახალ წელს იმავე მამამშემ ისრების კონა აიღო ხელში და ლიქნილა ურცხვედ შეის წინაშე, ურთვეულებას ცუკცებოდა.

ვარგა ხანია იკოდა ვიორგიმ, არც მამამშე და არც მისი ვაჟი ჭიაბერი ვულით ქრისტიანები არ იყვნენ.

საქართველოს შეფისათვის თვალისასახვევად ხატებითა და ჯვრებით ჰქონდათ მორთული ქორსატეცელას ციხე-დარბაზი და კარის ეკლესია.

მიუვალს მთებში წარმართული ბომონები ჰქონდათ მცხოვანერში აღ-
მართული და იქ ლოცულობდნენ თავათ.

მსტროვარებს ეს ამბავიც ჩაწერინათ სპასალარუსაფრანგულებრივის
ერისთავს კოლონკელიძეს, მამამშესა და ჭიაბერს პირუ მცხვარებლაუზრგის
წინააღმდეგ.

ეს არ იყო ოლონდ დადგენილი, ვინ იდგა მათ უკან? ტფილისელი
სარეკონზების ამირა, თუ ბიზანტიის კეისარი ბასილი, რომელსაც ბასი-
ანს გადაღმელი ქვეყნები წაართვა გიორგიმ ოდესლაც.

შესაძლოა ამირა, ან ბასილი?

ან ორივენი ერთად?

გიორგის ისიც მოხსენდა, რომ თალავეა კოლონკელიძის მხოლოდ-
შობილი ქალი, პირმშეენიერი შორენა, აკვანშივე დანიშნული პულია
ჭიაბერს.

ეკლესიების შემუსცერა მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვას მოასწავებდა,
გაზაფხულზე მამამშე და თალავეა ღამზახლდებოდნენ და საერთო ძალით
შემოუწყობოდნენ უცლისცხეს.

გიორგი შორს ცერეტდა ფრიად. მან კარგად უწყოდა, რომ ქრისტეს
შჯული საფარველი იყო ამ შემთხვევაში.

თავათ გიორგისაც შერწყეული ჰქონდა აწმენა.

აჩაბი ბაზიერნი უწერთნილენ მას მიმინოებს, ხოლო ფარსმან სპარს-
თან ღამებული საუბრების დროს იყი დიდის გულისყრით ისმენდა მის-
ვან პლატონის სწავლას სულთა გადავლენისათვის.

ვარსკვლავებს უთვალთვალებდა ასტროლოგი მეფე ღამლამობით. ვინ
იცის ეგებ, შეეგადასულთა სულნი იყვნენო იგინი?

მოუხედავად ამისა, ქრისტეანობის ქომაგად ითვლებოდა გიორგი და
მის ზარაფხანაში მოჭრილ თეთრზე ასე ეწერა: მეფეთ-მეფე გიორგი —
შესის შანერილი.

კიისართან ზავის დარღვევას გაუჩბოდა გიორგი, თავის მხრით ბიზან-
ტიისათვის თვალის ასახვევად დაუცხრომლად ავებდა ქრისტეანულ ტა-
ძრებს და მახეილით აერცულებდა მთელს კავკასიონში ქრისტეს შჯულს.

ახლა მიხედნენ გიორგი და ზვიადი მამამშე ერისთავის დარბაზობის
ნამდვილ შიშეზს.

დასაზეურავად გამოეგზავნა ვაქს, ეს საპატიო სტუმარი. გიორგის
შეეძლო ახალწილის მეორე დღესვე თვალები დაეთხარა მამამზისათვის,
ჭიაბერისა და კოლონკელიძის წინააღმდეგ ჯარები გაეგზავნა, ვიღწეუ-
პირეველი თოველით შეიფიტებოდნენ მთები, მაგრამ ჭიაბერი ახლადმი-
ბრუნებული იყო ბიზანტიონიდან, სადაც იყი თურქებთან ბრძოლაში
შველისათვის ოქროს მუზარადითა და „არხევოსის“ სახელწოდებით და-
ჯილდოვა კეისარმა.

ჭიაბერმა ბიზანტიონიდან დაბრუნებისთანავე ღალატით მოკველევი-
ნა ოვსთა მეფე და ძალით ითაყვანნა ოვსნი; შეუდარებელ მეომარსა
და მოჯირითეს, ღიღი სახელი პქონდა გაფარლნილი მთელს კავკასიონში.

ზეიად სპასალარი გულდინჯი მრჩეველი იყო, ამცი თუ გიორგის სჩეკეოდა დიდ საქმეთა ხელაღებით გადაწყვეტა, ამიტომაც დასთვეს: მხოლოდ მეორე დღეს გამოლაპარაკებოდნენ მამამზეს, ურავარული.

თანაც დაადგინეს, გადაცმული ბერები გაეგზავნებოდნენ ვა-მოქრევით სარკინოშების ამირა ურევდა ამ საქმეში ხელს, თუ ცბიერი კეისარი ბასილი?

II

იმ ღამეს მოეიდა საშინელი თქეში. ნაშუალამეციდან სწვიმდა დაუკრიმელად. შემოდგომის პირეველი სუსი ჩამოლევა. შირიმიშის ბრძოლაში მიღებული იარა განუახლდა გიორგის. ლეხი ასტურედა, მაგრამ წინაპართა წესის დარღვევა არ ისურვა და წინაღმის უძინარმა უთენია ითხოვა ცხენი.

ზარდახნის მოლაპეტ აღვირი მოაჩინა, ლაგამი ამოსულ ოქტოსტეფრ ულაქს, მერმე ზარდახნის მეჯინიბე მიეკრა, საყბეური შეუსხა, ზარდახნის მოლაპეტ შეუდვა უნავირი.

შეჯდა მეფე და ზარდახნის უხუცესში მათრახი მიაჩინა.

დაწინაურდნენ აჩუხი და ზარდახნის უხუცეს.

გორგიმ ცხენს მათრახი სწყვიტა, უკან გამოუდგნენ სამიე ერის-თავი, მერმესუხუცესი, მონალიტეთუხუცესი და ბაზიერი.

ატყდა ბურის ცემა მეფის ნაკრძალში. სპილენძის დაფდაფებს სცემ-დნენ მეითორები და მარტვები, უცნაურის ლრიანცელით მოსდებოდნენ ტყეს.

ნაფირმა შორს გაიტყუა მადევრები, შორიდან, ძლიერ შორიდან ის-მოდა მათი გამალებული ყეფა და გნიასი.

გორგისა და მის ამალას აღვილის გამოცველა ეწადათ, მავრამ ხეეს გალმა კბოდები და ქარაფები იყო, ხეებში უსიერი ჭოჭი და საღები, გაუვალი კატაბარდები გზას ულობავდა მხედრებს.

ფეხითსვლა იყო საჭირო, ცხენზე ჯდომამ უარესად აატყივა მეფეს წვიების იარა, ამიტომაც ველარ ბეღავდა დაქვეითებას იგი. მამამზემ თათ-ბირი მიაწოდა ასეთი:

მხარმარჯვენით ხეეია ერთი, იმ მთის ცხვირის გადაღმა მდებარე, მა-დევრები უცილოდ იმ ხევში შემოაბრუნებენ ოტებულ ნადირს. დასავ-ლეთისენ ქარაფები ახლავს იმ ხეეს, როცა მადევრები მოსდევენ მხეცეს, იგი იოლი გზით გარბისო მუღამ, არ ეტანებათ არასდროს ქარაფს. იმ ხე-ეის ყელთან დავუხედეთ და არ აგვილება არც ერთი.

გიოზიარეს მამამზის ჩრევა. სადებს შორიდან მოუარეს, ნეკურჩხლის რჩე გადალახეს ცხენდაცხენ.

მოუახლოედნენ ხევის ყელს და ისევ ატყდა მადევრების ყეფა. მარე-კებმა უმატეს ლრიანცელი. ჯერ მუხნარიც არ გაეარნათ მხედრებს, აშ-რიალდა ერთბაშად ტევრი, ცხენისებური თქარუნი მოისმა ანაზღად, მი-წისპირზე გადაირჩინა მგელმა.

ახლა მეორე მოძუნძულებდა ხევდახევ, კვლავ ისმოდა ცხენისებური თქარუნი. კატაბარდებში გაიელვა ცეცხლოვანშა თვალშა, მშვილდი მო-

ზიდა გიორგიმ და პირველი ქეიბური ესროლა გულფაგულ. ძაღლივით დაიყეფა რაღაცამ, დაიგმინა და მოისმა ბრაგვანი სულ ახლოს, ჭუნელის ჩირვეების გადაღმა.

დაქვეითდა მამამშე ერისთავი, ბირკებიან ჯავებში გადამტესა დადგინდნენ დაბობლავდა კატაპარდში და მერმე გიორგიმ თვალი პეიდა, — ღივიანიდან გამოვიდა მამამშე, მხარშე უზარმაშარი მგელი შეეგდო. ტყისკაცია ჰავდა, ბირკით მოცულ ტყავებაში გამოწყობილი.

თავისი მშვენიერი, თეთრი კბილები შემოანათა გიორგის და მიაძახა: „ეს ერთი და სხვა ათასი მეფეოშეფერ“.

ესა სთქეა და გიორგის ცხენის ფერსთით დააგდო ნანადირევი. ისევ ასტეხს მარეკებმა დაფლაფების ცემა, მონადირეთ უხუცესის დიდი ბუკი ისმოდა სულ ახლოს.

ნეკრისლის შტოებს ლეწავდა ორემი, მოანგრევდა ტყეს და მოაქროდა გამალებული, სხანდა მადერები მოსდევდნენ ფეხდაფეხ.

მხედრებმა შენიშვნა, ადამიანის ორანი რომ ივრმნო, ნაღირმა; — მხარმაჯვენისკენ გადაუხევია, სწორედ იმ საღებისკენ, რომელსაც შორიდან მოუარეს შეფეხ და მისმა ამალაშ ხევის ყელმდის მოსვლისას.

დიდებულებმა არ ინდომეს თავათ გამოდვომა, რადგან ცხენდაცხენ ურ მიყებოდნენ; გიორგიმ ცხენიდან ჩამოხტომის დაპირა, მავრამ მამამშემ აღიროში უტაცა ხელი.

უარესად გავიძინებდებათ ნაიარები ფეხი, ნუ იქმო, აფიცებდა ბავრატ კუროპალატის სულს.

შეფეხ დინჯად იჯდა მშველის ბეწვის უნაგირშე და შესცემროდა მამამშის ისრიმისფერ თვალებს. მის მუდარაში იმდენი სიწრიფელე და მამაშეილური რუდუნება ისმოდა, გაოცდა გიორგი.

ძელი მამამშე მოაგონდა, შირიმნის, ფანასკერტის და ნიალის ომებში თანამებრძოლი, ბაგრატ კუროპალატის უერთგულესი ყმა და მისიერ სიყრმის მევობარი.

აზლა კი ესვი შეეპარა გიორგის, ეგები სტუროდნენ მსტოვარები, მამამშე უბრალო იყოსო, კოლონკელიძისა და ჭიაბერის მიერ ატებილ ამბობში.

ცხენიდან არ ჩამოედა და გადასწყვიტა იმ წუთშივე დაემარტოხელებინა მამამშე, ძმურად, მამაშეილურად გასაუბრებოდა, გამოეკითხა ჭიაბერის განდევომის მიზეზი.

შემდგომ ამისა, სახის გამომეტყველებით, ან ხმის ნირით გამოარკვევდა მეფე, თუ რა წილი ედო თავათ მამამშეს ამ საქმეში?

ბოლოს ხომ შესაძლოა, მამამშე იმადაც წამოსულიყო საახალწლოდ მეფესთან, რათა თავათ ემხილა საკუთარი ვაკი.

ამიტომაც დაითხოვა დანარჩენი ერისთავები, მონადირეთ უხუცეს უბრანა საღებისაკენ გამოსდგომოდნენ ირემს, ნეკრისლის ტყეში ეძიათ ნაკალევე მისი.

მე და მამამშე ხევის ყელთან დაერჩებითო მარტო.

ხევის ყელისეენ მიაბრუნეს ცხენები ორთა. მეფეს ნაბრუნთ მოქავდა ულაყი, თანაც გულმოღვინეთ ეძებდა პირეელ სიტყვას მსტურებელს დასა-წყებად.

მის გულში რიალებდნენ სიტყვები ხან გოლეულივით ტკბილი, ხან ასპიტის გესლივით მწარე, მაგრამ იღუმალად გადაიხედავდა მის გვერდით ცხენდატენ მომავალ მოხუცისაკენ, ისევ ნიალის ელი მოავონდებოდა, ზასიანის სანახებში გამართული ბრძოლები, ფანასკერტის ციხეში ჩაეკ-რვის ამბები და კელავ დაემშებოდა ენა.

ბოლოს მამამშე მისი სტუმარი იყო, ბაგრატ კუროპალატმა მის ხელში დაილია სული, განა მამამშემ და ზეიად ერისთავმა ან წაილეს ბაგრა-ტის გვამი ბედისში დასამარხავად?

ნე თუ იგივე ხელები ლესაკენ გიორგის წინააღმდეგ მახვილს, იგივე ხელები, რომელთაც გააპატიოსნენ ბაგრატის ცხედარი ფანასკერტის ცი-ხეში?

ეს ყოველივე სდულდა გიორგის გულში და სიტყვა ვერ ეპოვნა მას, ნიშნიმილის გამოსათქმელი.

სწორედ მა დროს კელავ მოისმა დიდი ბუკის ხმა და მარეკების მო-ახლოებულმა ლრიანცელმა დააფრთხო გიორგის ცხენი. ფიქრში წასულმა მხედარმა საფავის ლამოკლება მოასწრო და უზარმაზარი ქარაფის კიდეს-თან ყალბზე შეაყენა ცხენი.

ხევის ყელთან შესდგნენ ორივენი.

ყური სცეკვიტეს მონადირეთა.

რომელილაც ნადირი მობოლდავდა ნისლისაგან დაბურულ ტყეში, მის თათების ქეშ ლიწინლიწინი გაპქონდა მხმარ შტოებს.

დეზი ჰერა თავის ულაყს გიორგიმ, ხევის სილრმეში შეაგდო იყო, შშილი მოზიდა და არწივის ფრთაზე გამართული ქეიბური მკერდში ჰერა ჩალისფერ დაოცნ.

დაილრიალა გამძვინეარებულმა მხეცმა, ცხენოსთან შებმას განერიდა, ქარაფისაკენ გაიქცა, ერთი შესდგა უფსკრულის პირად, კვლავ დაილრია-ლა და გადაეშვა დაჭრილი ნადირი.

მეფეს სიცაბურემ სძლია, უკან გამოუდგა ცხენდაცხენ. ქარაფის კიდე-ზე მისული გადმოხტა, კელავ მოზიდა მშევილდი, მავრამ დააცდინა ლიჭი-ანში გაუჩინარებულ დაოცნ.

გულნარენი მეფე ზედ დასცერდა უფსკრულს, მაგრამ მიხვდა ნა-იარევი ფეხის პატრონი ვერ მიძყვებოდა ოტებულს.

მაშინ ისკუპა ცხენიდან მამამშე ერისთავმა, სწორედ ისევე მარჯვედ, როგორც შირიმნის ბრძოლაში, ტყავეაბის უკანა ბალთები ამოიკეცა, ზედ დაჯდა და კიბურური ხალისით გადაეშვა უფსკრულისაკენ.

იდგა გიორგი ქარაფის კიდევთან და შესცემულდა შემორჩენილ ბილიკზე სრიალით მიმავალ მამამშის ზურგს, მერმე შემბში დაინიშნა მისი ტყა-კუაბა და სრული მდუმარება დავისრდა ტყეში.

ბუკი იღლო გიორგიმ, იხმო მარკები და მეითარჭებული იმართება

ქარაფებს შემოუარეს შორილან, ბაზიერებმა, მარკებმა და მეითარებმა, მადლენებმა შემბნარში იპოვნეს დათვის ნაკვალევი და ნისისხლარი, მაგრამ დეკაში გადასული დაეკარგათ ისევ.

მათგა ჩხრიექს ლრანტები, ხევები, შემბნარები და ლიჭიანი, მაგრამ მიწამ პირი უკოვო ირთავეს, კერძ დათვი იპოვნეს საღმე და ველარც მა-მაშე.

დაიმარტოხელა სპასალარი გიორგიმ, უჩურჩულა: ვაგევპარაო მთავა-რი ნადირი.

კერძ შეგბედეთო თორემ, არ მინდოდა მამამშის ვამოშეება ციხილან. მისი ზრახვანი წუხელვე ნათელი იყო ჩემთვის, მას ეს უზღლოდა, დაეკ-ზევრეთ, ჩენი საომარი მზაობა შეემოწმებინა, კარგად იცოდა, მეფის კარზე ხელს არავინ ახლებდა სტუმარის. ახალწლის მეორე დღეს სანა-დირილ გაიწვეველნენ სადარბაზოდ მოსულ დადებულს, ხოლო ნადი-რობის დროს გაპარეა არც ისე საძნელო იქნებოდათ.

გიორგის ენიშნა ზვიადის ნათვამი, მაგრამ დადაუმდა, თავის სიკა-ბუკება და ვამოუცდელობას ქრისტიანიდა შრარედ.

მშე მიიღრიყა, გიორგის უკეთ სამი ირემი, შეიდი მგელი, ხუთი ტურა და სამი შეელი მოეკლა, მაგრამ მაინც არ იღიმოდა ვამარჯვებული მო-ნადირე.

ბოლოს სხვა ლონე არ იყო, უნდა იეშვათ ყურშაი, საყვარელი მაღე-ვარი მეფისა.

ყურშაი მავედ იყო, მაინც შინ არ დადგა, როვორც კი სხვა ძალლების უფას შემოესმა. წამოსცვლისას ისეთი საცოდავი უმუილი მორითო, გიორგის შეებრალა და პრინა: სასეიროდ მაინც წამოიყვანეთო ყურშაი, თოვით ატარეთო ტყეში.

ბოლოს მონადირეთუხუცეს მიმართ მოიყვანა ყურშაი დათვის გაწყვე-ტილ ნაკვალევოთ, ნამეზარ იფნის ძირას. ამ იღვილიდან სისხლის წვე-თებიც არ აჩნდა მიწას.

ყურშაიმ მხარ მარცხნით გაუხვია, ბევრი ისუნსულა, ორსამჯერ წრე დაუახა და მეტმე აღლო ვეში. სამი ბაზიერი და შვიდი მოისარი გააყოლა ბაზიერთ უხუცესმა ყურშაის.

ნაკრძალი გადაიარეს, შემოლობილი გაენგრია ნადირს, ველი გადა-ლახეს შემბიანი, მუხოვანი დაიწყო უსიერი და სწორედ ამ ტყეში, ერთ მუხის ქვეშ ყურშაი თავზე დაადგა მოკლულ დათვს. ნადირის გვერდით, ვეომრიანში პირქვე დამხობილი ევდო დატორილი მამამშე.

მარჯვენაში სატევარი შერჩენოდა მოხუცს, სისხლს დაეცევარი მისი თეთრი, მატულიერი თეთრი წევრი.

გვიმრა დათქერილი იყო ირგველი, სისხლს დაეცვარა დაჯიშვილი ბალახიც.

გიორგი ფრიად დაიღონა ამ ამბავშა. ზეიად სპასულურუ ცუშიურუბულა იღებალ: ის მერჩია ვაპარულიყოვა მამამზე ერისთავები აჭაფები ცუაბერს ეერაეინ დაჯერებსო ნადირობის დროს რომ შეემოხვევა ეს ყოველივე მამა მისს.

დიდხანს უსრისეს საფეოქლები მამამზეს, მერმე ის იყო, თორმეტშა მონადირემ ძლიეს მიათრია სასახლე მდის გონისმოსულის უზარმაზარი სხერლი.

გიორგიმ ბრძანა და იხმეს ფარსმანი, არც ამას დასჯერდა მეფე, თურმანიძე ჩამოაყვანინა ფანასკერტის ციხიდან.

თვალის გახელის უმალევ ეს იკითხა მამამზე:

სადა ვარო?

როცა ეს გაიგო, სასახლეშიო, მყისევ ამოიოხრა, მერმე თვალები მოიფშენირა და სთქა:

იმ დათვის ტყავი უნდა მიმერთოთ საახალწლოდ მეფისოფის, ამადაც გავსწირეო თავი.

შეირს გაეტყებინა დაკოდილ ნადირს მამამზე. ღიკიანებში მრევალგზის ხელი მოსცარვია მოისარს და როცა უკანასკნელი ქეიბურით მუცელში დაუკოლნია დათვი, დაბრულა თურმე ეს უზარმაზარი მხეცი, მამამზეს მშეილდი გადაუგდია და პირისპირ შებმიან ურთიერთს დათვი და მამამზე.

III

ექესი თვე თავზე ადგა თურმანიძე მამამზეს. ყოველ შაბათს ან მეფე ეწეოდა, ან კათალიკოსი. ჯანმრთელობის ამბავს გამოჰქითხავდნენ და გაეცდებოდნენ კვლავ. მესაწოლე ბერი ლამეებს უთევდა, ეზოს მოძღვარი სასთუმალთან უჯდა, ფსალმუნს უკითხავდა.

მამამზე გულმოლგინედ ისმენდა ხუცის ქადაგებას, ხალისიანად იზეპირებდა ფსალმუნის ლექსებს, გულში დასკინოდა ებრაელების ღმერთის იწილ-ბიწილორს.

უკანასკნელ შაბათს ძელსა ჰქიას თუ არა, მეფე და ზეიადი ეწეონ ერისთავს.

ამ ჯერად დიდხანს დაყოვნდნენ მნახველები. გადახდილი ომებისა, ძევებებერ ნადირობათა ამბავი ჩამოაგდო გიორგიმ, ყარყატზე ნადირობათ ახლა არაგის ჭალებში კარგი.

გიორგი ჩეცულებრივშე მეტად გულტყილი იყო იმ საღამოს. მამამზეს მაინც შესდგომდა ძრწოლა. ყოველ წუთში მოელოდა, საღაცა დაავდებსო მეფე ნადირობის ამბავს და კოლონკელიძის ამბოხს გადასწვდებათ ანაზღად.

მერმე?

შერმე მოულოდნელიდ მიაპყრობდა მას თავის დიდობით, ჩატლისფერ თვალებს და შეეკითხებოდა:

შერმე შენ რა პქენი მამის ჩემის თანამებრძოლო დაწმირა გამოდა კოდა კოდა?

რა ეთქეა მამამზეს?

სათქმელიც მზად ჰქონდა.

მტკიცე უარი და სამარისებრო დუმილი. გზაში ვიყავი და ორა ვიცა რაო, საკუთარი ნების სიმტკიცის უნარიც ჰქონდა, გინდ დილევში ჩაეგდოთ, გინდ ძელზე გაცერათ, გინდ თვალები დაეწვათ.

ნიკო ბარათაშვილის ოჯახური გარემოს სურათის სისტელისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მელიტონისა და ეფემიას სახლში, რომელიც წარჩინებულ ოჯახად ითვლებოდა 20-იან — 40-იანი წლების ტეილისში, უკიბებოდა იმდროინდელი ჩართველი საზოგადოება. მელიტონის ოჯახისათვის არ იყო უცხო ლიტერატურული ინტერესები, და თვით მელიტონიც, როვორც მოვიხსენეთ, ძველი ქართული ტრადიციების თანახმად, განათლებული კაცი ყოფილა, „ზედმიშვენით მცოდნე ქართული ლიტერატურისა" — კონსტ. მამაცაშვილის სიტყვით. კ. მამაცაშვილი თავის საინტერესო მოგონებაში სწერს: „მელიტონის სახლში ნახვდით ძეველს ჩვენს სწავლულ ქართველებს; იმათ შორის თითქმის ყოველ-დღე მელიტონთან დაიარებოდა ეგნატე იოსელიანი, მამა ჩვენის მწერლის პლატონისა. ეგნატე იოსელიანმა ჩინებულად იცოდა ქართული ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენის საქართველოს ცხოვრებისა დასასრულოს საუკუნეში, მეფის ირაკლიდვან მეფის გოორგის გარდაცვალებამდისინ. მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფავლენიშვილები, სოლომონ მეითა-რი თარხნიშვილი, გოორგი და ალექსანდრე სავინაშვილები და ბევრნი გაშინდელის დროის განთლებულნი ქართველნი."

მელიტონის ოჯახი განსაკუთრებით დაახლოებული ყოფილა გრიგოლ არმელიანის, მანანა არმელიანის და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახებთან¹⁾. მელიტონის ოჯახის ახლო ნაცნობი ყოფილა ივრეთვე პოლონელი ზავილეისკი, მეტად საინტერესო ფიგურა, რომელიც ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორად იყო და რომელსაც იმავე დროს, სჩამის, კავშირი ჰქონდა 1832 წლის შეთქმულობასთან.

ასეთი იყო ის ოჯახური წრე, საღაც დაიბადა და იზრდებოდა ნიკო ბარათაშვილი.

¹⁾ ბარათარი კეზირიშვილის მოგონება, გვ. 241.

III

გავვაობა. სეოლა. პირველი ლიტერატურული ცენტრი.

პირველი ცენტრი

ქართულს ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ ნიკო ბარათაშვილი დაიბადა 1816 წელს, 4 დეკემბერს, ხოლო გარდაიცვალა 1845 წელს, 14 (ან 21) ოქტომბერს, მოეტ პოეტი 29 წელს იყო მიწევნილი. მაგრამ ეს თარიღი, როგორც იჩვევია, არ არის სწორი. 6. ბარათაშვილი უფრო ანალიზირდა გარდაცვლილა, 27 წლისა. თარიღი პოეტის დაბადებისა არის 1818 წელი; გარდაიცვალა პოეტი 1845 წელს 21 ოქტომბერს (ახალი ცტილით).

ბარათაშვილის ცხოვრების თარიღების საკითხს ჩვენ ვეხებით ცალკე სპეციალურ ნარკვევში და ამის გამო აქ ქრონოლოგის საკითხებზე აღარ შევწერდებით. ამომწურავს ცნობებს პოეტის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების შესახებ მეითხველი აღნიშნულ სპეციალურ ნარკვევში გაეცნობა¹⁾.



ნიკო ბარათაშვილი დაიბადა ტფილისში, დედის ოჯახში, თავისი პაპის შურაბ ორბელიანის (გრიგოლ ორბელიანის მამის) სახლში²⁾.

ზურაბ ორბელიანის ოჯახში ორი ძეობა გადაიხადა უახლოეს წლებში. 1818 წელს დაიბადა ზურაბის შვილის-შვილი ნიკო ბარათაშვილი, ხოლო ერთი წლით აღრე. 1817 წელს³⁾, ზურაბს მიეცა უმცროსი ვაჟი ილია. ეს ის ილია ორბელიანია, რომელსაც შემდევ ნიკო ბარათაშვილმა უძლენა თავისი „მეტანი“. პატარა ნიკო და ილია ერთად იზრდებოდნენ. და ნიკოს და ილიას ბოლომდე შერჩათ ერთმანეთის ძმური სიკვარული.

უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ ორბელიანის სახლი მეორე ოჯახი იყო პატარა ნიკოსათვის, აქ გაატარა მან სანახვეროდ თავისი ბავშვობა. ბავშვობიდანეე დამევობრებია ნიკო ბარათაშვილი თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს, რომლის თვალწინაც იზრდებოდა პატარა ნიკო სიყრმიდანვე. როდესაც კი გრიგოლ ორბელიანი ტფილისში იმყოფებოდა. ნიკო თითქმის ყოველდღე მასთან იყო განუყრელად. ტფილისის ბალებში ხშირად ხელავდნენ პატარა ნიკოს მოსიერნეს გრიგოლთან. თანამედროვეთა ჩეკნების მიხედვით, ზაქარია მთაწმინდელი გაღმოვეცემს პოეტის ბოგორიაფიაში: „გრიგოლ ორბელიანს ერთობ ჰყვაპებია პატა-

¹⁾ ი. შერილის ბოლოს: „ნ. ბარათაშვილის ცხოვრების თარიღები“.

²⁾ ამის შესახებ დაცულია სოჯიხონ გაღმოცემა ორბელიანთა და ბარათაშვილების სახლში. ეს ცნობა დაგვიდასტურა ერთოდ ორბელიანთა ოჯახის ჩაღმა მითენ თარისნიშვილ-ორბელიანშია. რომელსაც, უკვე ლრმა მოხუცებაში მყოფი, ჩეკნებით 1928 წელს.

³⁾ გრიგოლ ორბელიანის წერილები (ა. გამჭერულის რედაქციით), 1, გვ. 37.

რა ნიკოლოზი. საკეთილმობილო სკოლიდან თითქმის უკვედღებელი გრ. ორბელიანთან დაიღიოდა... დღესაც ცოცხალნი არიან ის პირები ჩრდელთაც კარგად ასოვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მისეული შემოწმების ტრეგოლ, ორბელიანთან”¹⁾.

ეს მევობრობა ნიკოსი და გრიგოლ თრბელიანისა სიკვდილიძე ვა-გრძელდა, და როდესაც გრიგოლ თრბელიანს, დალისტანში მყოფს, მიუკიდა ყრუ ცნობა თავისი საყვარელი ტატოს (ნ. ბარათაშვილს შინაურობაში ტატოს ეძახოდნენ) მძიმე ავადმყოფობის თუ გარდაცეალების შესახებ, გრიგოლ თრბელიანი მწუხარებისაგან ავად გამხდარა. გრიგოლ თრბელიანი სწერს თავის უმცროს ძმას ილია თრბელიანს დალისტნიდან, 1845 წ. 12 ნოემბრის თარიღით²⁾:

„ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელი ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკედარი? — უცნობლობა მკლავს. შენ მიხავასთვის³⁾ მოვეწერა ტატოს უიმედო ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მიჩევა, ისე ზეპირად მითხრა, მავრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკედარი უნდა იყოს. — ამ, ეს დამალვა რა არის?.. აქაურმა ცხოვრებამ, ძალლის ცხოვრებამ, და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავად გამხადეს. ეს ექვსი დღე ვწევარ ვარიაჩითა მიხავასთან. — თუ ხატი გრწიმს, მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით და მასუკან — რაღვან შენთვის დიდი შრომა — ნულარ მოიწერები, იყო შენთვის მშეიღობიანად”.

6. ბარათაშვილი ამ დროს უკვე გარდაცეილილი იყო, მავრამ გრიგოლს ვერ უცხადებდნენ ძვირფასი ტატოს დაკარგვის.

★

ნიკო ბარათაშვილი ტფილის ეკუთხნის როვორც დაბადებით, ისე თავისი ხანმოკლე სიცოცხლით. პოეტმა თავისი ცხოვრება (გარდა უკანასკნელი წლისა) ტფილისში ვაძლარა.

ორბელიანთა სახლი, სადაც დაიბადა ნიკო ბარათაშვილი და სადაც მან სანახევრიდ გაატარა თავისი ბავშვობა, აღარ შენახულა. ეს სახლი, როვორც გაღმოვცემენ მომსწრენი, მდებარეობდა „ვარეთ-უბანში”, ებლინდელ ორბელიანის ქუჩაზე⁴⁾. სახლი იყო პატარა, ორ-სართულიანი, ბანიანი. ბანიდან მოსიანდა განთქმული ყაბახის მოედანი (სადაც შემდეგ ეგრეთწოდებული „ალექსანდრეს ბაღი“ — ებლანდელი „კომუნართა ბაღი“ — ვაშენდა). როდესაც ყაბახზე ძეველი ტრადიციული ჯირითი იშარ-

1) ჭ. მოწმინდელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ტფ. 1885 წ. გვ. 6.

2) გრიგოლ თრბელიანის წერილები (ა. გაწერელის რედაქციით), ტფ. 1936, 1. გვ. 118.

3) მიხეილ თრბელიანი—გრიგოლის ნათესავი.

4) სახელფობრ ჩიხის ბოლოს, ქუჩის აღმოსავლეთ მხარეზე.

თებოდა, ამ სახლის ბანზე გამოეფინებოდნენ ხოლმე „ორმელიანთა აულის“ ქალები („ორმელიანთა აული“ — ისე უწოდებოდნენ ჩეტი/ხელად ყაბახის მიღამოებს, ოადგან იგი ორმელიანთა საკვარცულოს სამშენებლების შეაღენდა და აქ უმთავრესად ორმელიანი ხასტატები) ეს ეს

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილის დროინდელ ტურის ჯერ კიდევ არა ქვენდა დაკარგული აღმოსავლური ხასიათი. ქალაქის ფარგლებსაც სხვა მოხასულობა ჰქონდა. ქალაქი თავდებოდა ყაბახისა და ეხლანდელ სასახლის მიღამოებში. შემდეგ იწყებოდა მინდვრები, ბალები. (ამ ბალების მიღამოებში. გააშენა შემდეგ თავისი სახლი პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ).¹⁾ ქალაქის შეავტული ამ დროს სოონის უბანი იყო.

თვით პოეტის მამის მელიტონ ბარათაშვილის სახლი, რომელთანაც ავრეთვე დაკავშირებულია პოეტის ბავშვობისა და უმანესილობის წლები, მდებარეობდა სიონსა და ანჩისხატის შეზა, კათოლიკოზის ყოფილი სასახლის ახლოს, ეს სახლიც აღარ შენახულია, მაგრამ მისი ძეველი აღვილმდებარეობაც ნიშანდობლივ ირკვევა. პოეტის დაის ბარბარეს აღწერით, „სახლი ერთ-სართულიანი იყო, ბანიანი, როგორც ყველა სახლები მაშინ. რეა თათახისაგან შესდგებოდა. უკან პატარა ეზო ჰქონდა, წინ პირდაპირ ქრისტე გამოიყოდა“. ამ სახლის გვერდით სკოტერობდა თეკლე ბატონი-შვილი, დედა ვახტანგ ორბელიანისა (პოეტისა) და ალექსანდრე ორბელიანისა. ალექსანდრე ორბელიანი, დიდი ქართველი პატრიოტი, ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო 1832 წლის შეთქმულობისა და თეკლე ბატონიშვილის სახლი 1831 — 1832 წლებში შეთქმულთა მთავარ ბინას წარმოადგენდა.

შესამც სახლი, როგორც დაკავშირებულია ბარათაშვილის სახელოან, დაუდისაც აჩსებობს. ეს სახლი მდებარეობს ანჩისხატის გვერდით. ამ სახლში გადავიდნენ ბარათაანი 1841 წელს და პოეტმა ამ სახლში დაპატიჟ უკანასკნელი წლები. სახლის აღმოსავლეთი აივნიდან მოსჩანს მტკერის კლდოვანი ნაპირები, რომლის მიღამოებში თქვენ უნდღლით გვლანდებათ ბარათაშვილის „ჩინარი“...

ბარათაშვილი, როგორც მოვიხსენეთ, ტურისს ეკუთვნის როგორც დაბადებით. ისე თავისი ხანმოქლე სიცოცხლით. მაგრამ ბარათაშვილი დაკავშირებულია საქართველოს დედა-ქალაქთან არა მხოლოდ წარმოშობით: ბარათაშვილი ერთი პირველი პოეტთაგანია, რომელმაც შეიტანა ქართულს პოზიაში ტფილისის განუმეორებელი კოლორიტი. „შემოღმება მთაწმინდაზედ“, „ყაბახი“, „ფიქრი მტკერის პირს“, „ბეჭი ქართლისა“, ნარიყალის კედლებით და კრწინისის გმირებით აცოცხლებენ ძევლი ტფილისის რომანტიკას.

¹⁾ ეხლანდელ პატავაძის ქრისტე.



გადაედივართ ბარათაშვილის ცხოვრების ქრონიკაზე უკუკული

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბავშვობის წლების უწყვეტესობაზე უკუკულით. პატარა ტატო (როგორც ეძახდნენ შინაურობაში პოეტს) მისი დედის ეფუძნისა და დიდ-დედის ხორების ბატონიშვილის ხელში იზრდებოდა. პოეტის გადა ყოფილა გლეხის ქალი მარა (ცორული). პოეტის დაიბარბარე დიდის პატივით იკონებს პატარა ტატოს ამ გამდელს.

წერა-კიოხვა პოეტისათვის დედას უსწავლებია. თითონ ბარათაშვილისაგან გამიგონია, — გადმოგვცემს პოეტის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი, — რომ ნიკოზ წიგნი შინ შეისწავლა; რვა წლისამ უკვე იკოლაო ქართული წერა-კიოხვა.

პირველი წიგნები, რომლითაც ნიკო ვაეცნო ქართულს ენას, თანახმად იმდროინდელი ტრადიციისა, უნდა ყოფილიყო „საღვთო წერილი“, დავითი, სახარება. აღსანიშნავია, რომ ძეველი ქართული ენის სიყვარული ბოლომდე შეჩრია პოეტს. პოეტის დაიბარბარე ექნირიშვილისა იკონებს, რომ „ნიკო საუცხოვოდ ჰყითხულობდა საღვთო წერილს“.

ნიკო ცხრა წლისა იყო, როდესაც იგი 1827 წელს მიაბარეს ტფილის „კეთილშობილთა სასწავლებელში“.¹⁾

„კეთილშობილთა სასწავლებელი“ ერთად-ერთი ეკრანული ტიპის სკოლა იყო ამ დროს ტფილისში.²⁾ ბარათაშვილის დროს (1830 წელს) იგი კიმინაზიად გადაკეთდა. აღნიშნავთ, რომ ამ სკოლაში არა ქრისტიანობისა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ მიიღო ვანაოლება. 50-იან წლებში აქ სწავლობდა ილია ჭავჭავაძე.

¹⁾ ზაქარია კიკინაძე (ზ. მიაწმინდელი) თავის წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1885 წ.) გადმოგვცემს. რომ ნ. ბარათაშვილი, კოლეჯ მას კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარებულ, უფრო აღრიც სწავლობდა კალიუმის სამრეკლო სკოლაში: ზ. კიკინაძე ლურჯლენად ავგაწერს ამ ძეველებული სკოლის პატარიაზე ქალურს მამაპატურს წესებს. მაგრამ რამდენად შეეფერდა სინამდვილეს ზ. კიკინაძის ეს უწოდა კალიუმის სკოლის შესახებ, მნელით აწმი. სკოლით და ზ. კიკინაძის მიერ გადმოგვცებული ცნობები მოთვლის რეზულტატის შემთხვევებში არ აუცილებელი ნიკოლოზ შემთხვევაშია. აღნიშნავთ, რომ კ. მამაცაშვილი გადმოგვცემს შეოღულო. რომ ნ. ბარათაშვილმა წერა-კიოხვა სახლში ისწავლა. „თითონ ნ. ბარათაშვილისაგან გამიგონია, — სწერს კ. მამაცაშვილი — რომ შინ წერა-კიოხვა პატარამ რვა წლისა მ იკოლა“. ხილო ცხრა წლის სას ნიკოლოზს ჩავთ კათილშობილთა სასწავლებელში ცხელავთ.

²⁾ სასწავლებელი ერთხმად, 1833 წლიდე, მოთავსებული იყო ეხლანდულ კამინტერის ქართველი (ყოფილი სასახლის ქუჩა), სადაც შემდეგ აშენდა სახავიშვილის სკოლა სახლი და სადაც რევოლუციის წინა პეტროლემ მოთავსებული იყო რედაქცია „სახავიშვილი განვითარება“. შემდეგ, 1833 წლიდან, სასწავლებელი გადავიდა ახალ შენაბაში, რესტავრაციის პროცესტში, საღაც შემდინ მოთავსებული იყო პირველი გამაშინი, მიერთოდა პირველი საცურალ-საჩვენებელი სკოლა.

ბარათაშვილის დროს სასწავლებელთან არსებობდა პატიონი 150 კაცისათვის. ბარათაშვილი მიუბარებიათ სასწავლებელში „ნაცეცენტ-პან-სიონერად“, ე. ი. ნიკა უფლება პქონდა ოჯახშიაც დაბრუნებულიყო.

ბარათაშვილმა ამ სკოლაში დაწყო 8 წელი და 1835 წელს დასრულდა სამო-ლა გომნაზია.

★

ბარათაშვილი, გომნაზიის დასრულების შემდეგ, ცხოვრებაში ვამო-სული, შემდეგის სიტყვებით ივონებს ვიმნაზიურ წრეს:

„დაეცნო აღვარი, სადაცა წრფელი
აბიდა ნათლად დრო ყმაშვილობის,
შეწორია, თანმიმდევრობა, შეგობარო შორის“...

„ეკოლშობილთა სასწავლებელი“ ან წარმოადგენდა ჩვეულებრივ ტრადის ვიმნაზიას. იგი თავისი პანსიონერული ცხოვრებით და აგრეთვა მოსწავლეთა შერჩევით ერთი წრიდან უფრო დახურულ ლიცეუმს მო-ვყავონებდა.

ბარათაშვილის დროს ვიმნაზიაში სწავლობდა რამდენიმე ყმაშვილი, რომლებიც ბოლომდე ბარათაშვილის მეცნიერებად დარჩენენ და რომლებ-თან ერთადაც ბარათაშვილს მოახდა ცხოვრებაში ვამოსვლა: მიხეილ თუმანიშვილი (პოეტი, თეატრალი, ეურნალისტი), კონსტანტინე მამა-კაშვილი (ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფი, ცნობილი საზოგადო მო-ლევანე, შემდეგ ერთ-ერთი ინკუისტორი წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართული ვიმნაზიის დააჩასებისა)¹⁾, დავით მაჩაბელი (ლიტერატუ-რი, პოეტი), ლევან მელიქიშვილი (რომელიც შემდეგ, 80-იან წლებში, კავკასიის მეფის-ნაცვლის მოაღვიალდ იყო), ილია ორბელიანი (პოეტის ბიძა, რომელსაც ნ. ბარათაშვილმა უძღვნა თავისი „მერანი“) და სხვანი.

ბარათაშვილს ვიმნაზიელს შემდეგნაირად ახასიათებს მისი სკოლის ამხანავი კონსტანტინე მამაკაშვილი:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა. უძ-ტესად ვანსხვავებული იყო თავის ამხანავებში მხიარულის ხასია-თო, სიმარტიო. პირველი მოცეკვავი იყო საკუთრიდ ლექსირისა. ყველასავან საყვარელი მხანაგი.“

„...ფხიზელი, ცნობის-მოყვარე, მიმღები ყოველივე კარგი შთა-ბეჭდილებისა“.

„...ნიკოლოზს სიკედილამდე პქონდა შეუცელელი მეცნიერელი კავშირი თავის ამხანავებთან, იმათ შორის ჩემთანაც.“

ბარათაშვილს დიდის სიტბოთი და სიყვარულით ივონებენ მისი სკოლის ამხანავები, აღნიშნავენ მის მიმზიდველსა და ნათელს ბუნებას.

¹⁾ აჩაა ინტერესს მოქადაგებული ალფინიშვილი, რომ კ. მამაკაშვილი იყო მეცნიერე-როგორც ნ. ბარათაშვილისა, ისე რესის პოეტის მ. ლექსინტოფისა.

ლევან მელიქიშვილი ერთს წერილში, რომელიც დაწერილია 1846/ წლის 19 იანვარს, ე. ი. სამი თვეს შემდეგ, როცა პოეტი ასე უკრთხოდ გარდა-
იცვალა, სწერს გრიგოლ ორბელიანს:

„მე მასში დავყარე არა მხოლოდ სკოლის ამზადები, ასეავდე შევო-
ბარი, რომელსაც ბაეშვილიდანვე ვეშვიდი ჩემი გულის ყველა ხევ-
ულებს, და რომლის შევობრული ურთიერთობით მე ესაჩვებლობდი.
ძნელია დაპერებულ აღამიანი, რომელიც თბილის გულითა და თბილის
სულით შერიცვების გრძნობას გვიღვიძებდა აღამიანთან...ძნელია სულით
დაბლება! და არა მხოლოდ მე დამატყდა თავს ეს საშინელი დანა-
კლისი!“



ბარათაშვილში პოეტმა აღრე გაიღვიძა. პირველი მისი ლექსები ვიმ-
ნაზიაში ყოფნის დროს ეკუთხნის. ყველა ლექსები ვიმნაზიელობის
დროისა არ შენახულა; დაცულია მხოლოდ ერთი კრებული, რომელიც
გადაწერილია 1833 წელს, ე. ი. როცა ბარათაშვილი 15 წლის ყმაწვილი
იყო.

კრებულში მოთავსებულია ბარათაშვილის ხუთი ლექსი. ამ ლექსე-
ბიდან პირველი სამი („ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩი“ და პოემა
„კავკასიური მოთხოვობა“) ჯერ კიდევ ბავშვერი ხასიათისაა. მაგრამ
ამავე კრებულში მოთავსებულია პირვანდელი ვარიანტები ლექსებისა
„ვარდი და ბულბული“ და „შემოღამება მთაწმინდაზედ“. ვიმნაზიაში
ყოფნის დროს ევროპური იგრძელებული ლექსი „ქეთვანან“.

კრებულ „შემოღამება მთაწმინდაზედ“, რომელიც ბარათაშვილმა 15
წლისამ დასწერა, გვიჩვენებს, რომ ბარათაშვილს აღრე უპოვია საქუ-
თარი პოეტური ხმა, ამ ლექსში უკვე მოცემულია ბარათაშვილის პოე-
ზის დამახსინებელი ტონალობა.

ვიმნაზიაში ყოფნის დროსავე, 1833 წლიდან, ბარათაშვილის ამხანა-
გები რუსულ ხელნაწერ უურნალსაც სცემდნენ: „Цветок Тифлисской
Гимназии“ („ტფილისის ვიმნაზიის ყვავილი“). უურნალს რედაქტორობ-
და მიხეილ თემანიშვილი. მიხაწილებდას ამ ფურნალში ნიკო ბარათა-
შვილიც იღებდა. სულ შენისულა ოთხი ნომერი ამ უურნალისა. კრებულ,
ერთ ნომერში მოთავსებულია სარჩევი, სიცდანაც ირკვევა, რომ ბარა-
თაშვილს ამ უურნალში ეკუთხნოდა: „წერილი სოფლიდან“, თარგმანი
ძველი ქართული რომანიდან „ვისრამიანი“ (ფრაგმენტი), „პაპის ხელის-
უფლება (ამაღლება პაპიშმისა და დაცემა მისი)“.

საგულისმოა, რომ ბარათაშვილი „ვისრამიანით“ დაინტერესებულა.
„ვისრამიანი“ ერთი უბრწყინვალესი ძეგლთაგანია. რომელიც ძველმა
ქართულმა მხატვრულმა პროზამ გვიანდებდა, და ინტერესი ბარათაშვი-
ლისა ამ რომანისადმი გვიჩვენებს ყმაწვილ ბარათაშვილის კარგს გე-
მოვნებას.

საგულისხმოა ავრეთვე ბარათაშვილის ინტერესი პატიზმისა და კა-
თოლიციზმისადმი. ეს ინტერესი უნდა დაბალებულიყო პოტიმურ-
წრეებთან სიახლოვით. პოლონელი შეთქმულნი, გაღმისახლობულონი სა-
ქართველოში დარჩევის დაცემის შემდეგ, 1831 წლის მიზანზე და უძრავი იყვნენ ქართველ საზოგადოებრივობასთან და, კერძოდ, იმ
წრესთან, რომელსაც ნიკო ბარათაშვილი ეკუთვნოდა.

IV

1832 წლის შეთქმულება

და

6. ბარათაშვილი

6. ბარათაშვილის მსოფლმხედელობის გამომუშავებაზე დიდი გავ-
ლენა ჰქონდა 1832 წლის შეთქმულობას. რომელიც პოეტის ახალგაზრ-
დობის წლებში მოეწყო. 6. ბარათაშვილი, აეტორი „ბედი ქართლისა“,
არის მემკვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლო-
გისა, რომელმაც გამოსახულება 1832 წლის შეთქმულობაში ჰპოვა.

ამის გამო ჩეკნ შევჩერდებით ამ მოძრაობის ისტორიაზე¹⁾.

★

ალექსანდრე ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულობის ერთ-ერთი ვი-
ტორანი, სწერს თავის მოგონებებში, რომელიც ხელნაწერად არის მოღ-
რიელი:

„საერთოს შეთქმის შეუდგნენ ქართველები 1830 წელსა. ეს შეთქმა-
სუ უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდგან მოკიდე-
ბული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა-
გავრცელებულიყავით და ურთიანი აღრეულობა მოგვეხდინა...“

....შევდევთ საქმეს დიდის გულმოლგინებით, ისე რომ მშობლის-
მაჟულის მეტი სიყვარულით ავად გააქმობდით თუ კარგად, ვეღარა გა-
ვაგეთ რა, ისე რომ ჩემი თავი აღარ მოვასევნე ამ საქმეში. და ისინიც-
ჩემი ამხანაგნი, დიდი მცდელი იყვნენ იმ საქმისა, ნამეტნავად ელიზ-
ბარ შანშეს-ძე, ქნის ერისთვის შვილი, რომელიც კველას ჩეკნზედ
უპირველესი მცდელი ის შეიქმნა.

¹⁾ მონითადი მისაღები (— გარდა გამოცემისა სარტყო დოკუმენტებისა):

1. Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, т. VIII, გვ. 391 — 423.

2. კონტა გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულობა“, ტ. I, სახ. უნივერსიტ-
ტის გამცემა, ტე. 1835 წ.

3. მიხედვი, 1832 წლის შეთქმულობის მისაღებიდან (საქ. არქვა, 11, 1926 წ.).

4. პავლე ინგორიშვა, გრიგოლ თრბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები, უკრ-
კისოული მეცნიერება, 1928 წ. № 6 — 7.

„...სრულიად საქართველოს დიდი ქაუნი და მცირდნი, და შეუძინი სა-სულიერო წოდებანი, რომლებთანაცა ხნიანი დედაკაცი არ ყოფილ-ჟალნი, ერთის აზრისა (იყვნენ) უკელა ჩვენთან. ან უწიფერ უფრეჩეტილი-უვით სულ ერთიან, ან არა და მამული გამოგვეხსნუ ხშირსულის ჩვენის მტრის რესეთისაგან. ბევრმა პატიოსანმა გვარმა დედაკაცმა დაიფიცეს: კაცურად ჩაეიცომო და ჩვენს უკანასკნელს სისხლს დავღვრით მამულის ვამოსახსნელადო. ზოგიერთმა ყმაშვილმა დედაკაცებმა ბაირახებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს.

„მაგრამ ამ წმინდას და პატიოსანი საქმიდან ერთი გამცემელი ვა-ვიდა და რესებს აცნობა ყოველი ჩვენი საქმე და განზრახეა, ესე იგი-ისე ფალავანდოვმა, ჩაშიაც ბევრი ქაცი და დედაკაცები ვაგძნენ... პირველი მოთავენი მითანტ-მოთანტეს რესეთში“¹⁾.

1832 წლის შეთქმულობა მნიშვნელოვანი მოვლენაა მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ შეთქმულობის მოწინავე იდეოლოგები, შეთქმუ-ლობის ხელმძღვანელი პროგრესიული ნაწილი, ასე ვოქვათ, „შემარტენე ფრთა“ 1832 წლის მოძრაობისა, რომელსაც ეკუთხნოდნენ სოლომონ დოდაშვილი და სხვები, არ ისახავდა მიზნად ძველი საქართველოს უბრალო რესტავრაციას ძველი, მამაპატარი, საშუალ-საუკუნებრივი წყო-ბით; ისინი განაწლებულ საქართველოზე პფიქრობდნენ. მათთვის არ იყო უცხო თანამედროვე ევროპის ლიბერალური იდეები, რომელთაც კერ-ძოდ ამ ხანაში თვით რესეთის საზოგადოებრივ მოძრაობაშიაც პოვეს ვამოძახილი, დეკაბრისტების შეთქმულობაში 1825 წელს, და აგრეთვე პოლონეთის ოჯანყებაში 1830 — 1831 წელს.

რომ 1832 წლის შეთქმულობასა და რესეთის დეკაბრისტების მოძ-რაობას შორის არსებობდა შემარტოვებელი ხაზები, ამის მაჩვენებელია თუნდაც ის გარემოება, რომ შეთქმულობის წევრს პოეტს გრიგოლ ორ-ბელიანს პროპაგანდის მიზნით უთარევნია ანუ, უფრო სწორად, გად-შოუეფებია ქართველად „ნალივაიოს აღსაჩება“ კონტარტი აილევეისა, დეკაბრისტების ამ ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელისა, რომელიც ნი-კოლოს I-ის მთავრობამ პეტრე-პავლეს ციხეში ჩამოახრიო 13 ივლისს 1826 წელს, დეკაბრისტელი მოძრაობის სხვა ლიდერებთან — პესტელ-თან, მურავიოვ-პოლიტოლთან. ბესტუევე-რიუმინთან და კახოვესითან ერთად.

ქართველ შეთქმულთა ხელმძღვანელ წრეში, როვორც სჩანს, მსჯე-ლობის საგანი ყოფილი დეკაბრისტების პოლიტიკური გეგმები და თეთი აჯანყების მსელელობა და ტექნიკაც. (ასე ერთ-ერთი შეთქმულთაგანი ვამოსთვევამდა მოსაზრებას, რომ რესეს დეკაბრისტებმა შეცდომა დაუ-შვეს, როდესაც მათ შეიარაღებული გამოსელა დაიწყეს სენატის მოედანზე

¹⁾ ი. ს. სულაშვილი საჭ. მუსეუმის პალეოგრაფიული განყოფილებისა 5—1655/3. 5—1659/3.

და არა ასენალთან; თუკი მათ პირველის დაკვრით ასესნალი უცოლო და არა მარტო ჯარისკაცებს დაყრდნობოდენ, არამედ ხალხი შეთქმულებანთ, საქმე სხვარიგად დატრიალდებოდა). ქართველ შეთქმულება მსჯელობის საგანი ყოფილა პესტელის გეგმა, რომელიც უწყებულის კვაზნების — პოლონეთისა და საქართველოს — რესერიდან ჩამოშორებას ითვალისწინებდა.

შეთქმულნი დიდად აფასებდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ლეგულ დეკაბრისტების ხსოვნას. ასე, შენახული ცნობა, რომ ქართველ შეთქმულთა ხელმძღვანელობაში სიხარული გამოუწვევია საქართველოში ჩამოსულ ამბავს. რომ 1831 წელს აჯანყებულმა პოლონეთმა ძეგლი აუგო პესტელს. რილევესა და მათ მეცნიერებს, და შეიმით იდლესასწაულა მათი ხსოვნა, ვინც 14 დეკემბრის ამბობების გამო დასჯილ იქნა.

დეკაბრისტების მოძრაობასთან ერთად, საქართველოში, როგორც ალვნიშვილი, გამომახილი ჰქონდა პოლონეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც 1830—1831 წლის აჯანყებით დასრულდა. ქართველ შეთქმულთა წრეები საქართველოში შეიარაღებული გამოსულის ვადას უფარდებდნენ პოლონეთის აჯანყების მსვლელობას, და როდესაც 1831 წელს ვარშავაში დაეცა, ამას ქართველი პატრიოტები ტფილისში გლოვით შეხვდნენ.

პოლონეთის დამარტებას 1831 წელს მოჰყვა პოლონელი რევოლუციონერების გადმოსახლება საქართველოში. 1832 წლისათვის საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელთა რიცხვი რამდენიმე ათასი აღწევდა. ქართველი შეთქმულნი, როგორც ირკვევა, დაკავშირებიან გადმოსახლებულ პოლონელებს, და 1832 წლის დეკემბრისათვის, როდესაც საქართველოში შეიარაღებული გამოსული იყო დანიშნული. ტფილისში მყოფი 500-მდე პოლონელი მომზადებული ყოფილა აჯანყების დროს ქართველების მხარეზე გადმოსასვლელად.

როგორ ჰქონდათ შეთქმულებს წარმოდგენილი საქართველოს მომავალი წყობილება.

შეთქმულობის მოწინავე იდეოლოგთა შორის ყოფილი როგორც კონსტიტუციური შეზღუდული მონარქიის, ისე რეპუბლიკური წყობილების მომხრენი, ერთ-ერთ შეთქმულთაგანს ეკუთნის განცხადება:

„მე მინდა საქართველოს თავისუფლება არა იმისათვის, რომ ვინმე ბაგრატიონთა გვარისაგანი გამეფუდს საქართველოში, არამედ რათა საქართველო შეიქმნას ჩემუბლიკად“. („Я желаю свободу Грузии не для того, чтобы кто нибудь из рода Багратионов воцарился в оной, но чтобы из Грузии сделался род республики“).

ლიტერატურის ისტორიისათვის არაა ინტერესს მოელებული ის გარემოება, რომ ამ ხანაში ჩემუბლიკური იდეები არ ყოფილა უცხოკრძოდ გრიგოლ თრთელიანისთვისაც, რომელიც შეთქმულობაში მონაწილეობას იღებდა. 1831 წელს გრიგოლ თრთელიანი გაემგზავრა რუ-

სეთში, მას შეთქმულთა ტფილისის ორგანიზაციის მიერ დაგვიტყვებული პქნონდა კავშირის გამა შეთქმულთა პეტერბურგის წრესთან ამ დროიდან მოღწეულა გრიგოლ ორბეგიანის დღიური. გრ. ორბეგებურგი, წისული ნოვეკოროდს, სწერს თავის დღიურში (1831 წლ. 24 კავკაზიურში) ეს აღარებს რა თვითმპყრობელურ რუსეთსა და ნოვეკოროდის ძველს რესპუბლიკურს წყობილებას:

„ფიქრმან ნოვეკოროდისათვის არ დამაძინა დიდი ხანს. გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ამათი მმართებლობა, სიმდიდრე, ვაჭრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა, კეჩეს ზარი (ანუ ბუკი), რომლითაც შეიკრიბებოდა ხალხი მძიმის საქმის გარდასაწყვეტლად, ნოვეკოროდის ჩაყიფობა მოსკოვის მეფეებთან და შემდგომად დამხობა მისი მრისხანე ითანეს მიერ.

„ეიდრე იყო რესპუბლიკა, ნოვეკოროდი ყვავილოვნობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა, და იყო სხვათა რუსებზე უმეტეს განათლებულება. და თვით თათართ მონებასაცა გადატჩია; გარნა აშ ალარც აჩრდილი სჩანს უწინდელისა მის შემძლებლობისა. ჩ კი ინისა ხ ე ლ მ ა ნ შეიძყრა და განაქარვა ყოველი დოდება მისი“.

აღსანიშნავია, რომ შეთქმულნი, როგორც ირკვევა, გლეხობის საკითხსაც აქცევდნენ ურადღებას. შეთქმულობის დროინდელ ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეთქმულთა კრებების დროს „იმართებოდა შეჯელობა საქართველოზე, შეუძლია თუ არა მას იყოს დამოუკიდებელი, ხალხის უფლებაზე, ბატონ ნ ე ბ ი ს მ ი კ რ გ ლ ე ხ თა შ ე ვ ი შ რ თ ე ბ ა ზ ე, და იმ საშუალებებზე, რომლითაც საქართველოს განთავისუფლება იქნებოდა შესაძლებელი“.

შეთქმულთა მოწინავე წრეების ორიენტაცია ევროპაზე იყო აღებული. შეთქმულობის დროინდელ დოკუმენტში აღნიშნულია შეთქმულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის შესახებ, რომ იყი „ძალიან ჩშირად მოუთხოობდა მასთან მისულებს (შეთქმულობის თანამერბინობა) თავისუფლებაზე, უხსნიდა საფრანგეთის უფლებებს, მისი (საფრანგეთის) თავისუფალ ცხოვერების, მეფის შეზღუდულ უფლებას... უკანასკნელ წარმოუდგენდა საფრანგეთში მომხდარ აჯანყებებს. ზოგჯერ მსჯელობდენ თავისუფალი ქალაქების — მაინის ფრანკფურტისა და კრაიფის მმართველობის მდგომარეობის გამო და ამკოდდა მოთხრობებით ამ ქალაქთა მოქალაქეების ბედნიერი ცხოვრების შესახებ“ (...весьма часто рассказывал посещавшим его о вольности, об'ясняя права Франции-свободную жизнь жителей ее, ограниченную власть короля... и наконец представлял мятежи в одной происходившие. Иногда рассуждали о состоянии правления вольных городов: Франк-Фурта на Майне и Кракова, украшая рассказами счастливую жизнь граждан онъих городов“).

გასაგები ხდება ასეთ გარემოში, რომ 1832 წლის შეთქმულობის მოწინავე პროგრესიული წრეები დაინტერესებული ყოფილი თანამედროვე, 1830 წლის რევოლუციითაც საფრანგეთში, რომელი ქვეყანაც თავისუფლების ფედად ითვლებოდა, ამისთან დაუკავშირდის საგულისხმოა აյ მოვიხსენოთ ერთი ღოკუმენტიც. მთავრობის აგენტის შეთქმულთა დაჭერის დროს ხელში ჩატარდნიათ ქართული თარგმანი მოწოდებისა, რომელიც გამოცემულია „სენის დეპარტამენტის პრეცეპტის მიერ თვისთა თანამოქალაქეთა მიმართ“ (მოწოდება დათარიღებულია: „პარიზ, 19 ოქტომბერი, წელს 1830“). ეს მოწოდება ქართულად თარგმნილია, როგორც ამას მინაწერი უჩვენებს. 1831 წლის იანვრის 20-ს (კ. ი. საში თვის შემდეგ მოწოდებისა გამოქვეყნებიდან), ხოლო მისი მთავრებელი ყოფილი სოლომონ ა. ზ. მ. ა. ძ. ე. თვალსაჩინო წევრი შეთქმულობისა, გაბედული პოლიტიკური მოლვაწე, რომელიც შეთქმულთა კომიტეტის მიერ ვაგზავნილი იყო თეორიანში ინგლისის წარმომადგენლობისთან კავშირის დასაცერად.

საბოლოოდ, როდესაც საქმე უკვე აჯანყების დაწყებაზე მიღვა და საქართველოს მთავრობის კონკრეტული გეგმისა და ზომების დასახვა იყო საკირო, შეთქმულების მთავრიმა ორგანიზაციამ ტფილისში მიიღო გადაწყვეტილება—შეექმნათ საქართველოში კონსტიტუციური შეზღუდული მონარქია. განზრისხული იყო აერჩიოთ მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ფართო წრეებში და რომლის სახელი შემოსილი იყო საქართველოს თავისუფლებისათვის თავდაცემული მებრძოლის შარავანდელით. მთავრობაში დასახელებული იყვნენ შემდეგნი პირნი: 1. მთავრობის თავმჯდომარე ალექსანდრე ბატონიშვილი („შეფის“ ტატულით). 2. სამხედრო მინისტრი — ალექსანდრე ჭავჭავაძე. 3. იუსტიციის მინისტრი — კ. მეტარან-ბატონი. 4. ფინანსთა მინისტრი — 6. ფალავანდიშვილი. 5. შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი — ი. ჭილაშვილი. 6. გარეშე საქმეთა მინისტრი — კ. ბერძოთაშვილი.

ხელისუფლების კანონმდებელი ორგანო უნდა ყოფილიყო დეპუტატთა პალატა — ერთ ვნელი სეიმი. შემნილი აჩევნების წესით. სეიმი უნდა მოწვევილი დაუყოვნებლივ, აჯანყების გაშლის თანაევ.

სახელმწიფო მთავრობის მთელს სისტემაში აჩევნებითი წესები, სახალხო წარმომადგენლობის პრინციპი, ფართხდ უნდა ყოფილიყო გარემობული. შეთქმულობის ხელმძღვანელთა რაღიალობა იმდენად შორს მიღიოდა ამ მხრივ, რომ ისინი შესაძლოდ სოელიდენ აჩევნებითი წესები დაეცვათ თეორი რეგულირებულ ჯარშიც კ. (შეთქმულთა გეგმაში შედიოდათ, — აღნიშნულია ოფიციალურ ღოკუმენტში, — „заградить путь через ущелье Кавказское; образовать войско регулярное, назначить в оное начальников способом избирательным“).

დასარულ, აյ მოყლედ შევეხებით აჯანყებისათვის მზადების მცველობის საქმეს.

Մետքմուլոնձս, հոգարկու ո՞յզզեցա, խանջրմլուց և տիրոսա պահքա, ոչ
մուղու Շլեզիս զանմազլոնձսի միաժամանակ է 1826 թվականը 1827 թվականը Շլեզիս
մուշաման պահք սայմառա զալրմազյեթուլու սիման. եռլոռ 1829 թվականը Մետքմուլոնձս գալ 1830 թվականը դասաբյուսուսատցուս ֆինանսիարու սամիալուս Մետքմուլոնձս մուսաբյունձս գալ այգուքա գալ պալութքա Մետքմուլու գահուց
արցանութաւու.

Ամ գրուսատցուս, հոգարկու Մետքմուլութմա գահալցու մուշաման
ծայարտցելում գա Մերահալցեթուլու զամուսւլուսատցուս յիշալցեթուլունքն, 1830 թվականը ամ այցանցյեցա սայարտցելում. լիսաւու, գուգուս, գուգուս ալոյրուտցանցնեցուտ Մետքմուլունքն ամուսնութուլուս. ամուսնութու, ուրմլա թրիրուտութուլու գամուրեթուլու. ծովներուց մոյացմուր ոյս
սայարտցելուս զանմատացուսւլությեթուլու մուսկանձունք. ամուսնութուս սայմիս
թարմանեցանք գուգ ուրեցա մուց ամուրեթուլունքն յահուցուլու ամբիրութքն. ամալ ամուսնություն սուրբայուսատան գայաց մուրեցուտ, յահուցուլու Մետքմուլութմա
զագանիչուրեց, սայարտցելում Մերահալցեթուլու զագանիչուրեց ամա Մերգար-
ջունանա ամուսնութուս այցանցյեցուս մուլցուլոնձսատցուն.

Ցաշրամ ամուսնութու գամարկեցա, 1831 թվականը հուսկուս չարյեթմա աղջու-
ցահուցա. աման, ծովներուցու, սայարտցելում այցանցյեցուս զամարչցուց ման-
սցու սացքա զահաճա, գա Մետքմուլու մուշաման յուտեանաւ Մերջութքա.

Ցաշրամ սամուլութու յահուցուլու Մետքմուլութմա զանմանեցանք երեսու առ
աղջուցա. մուշաման սանմուլու մունցուց մունցուց մուսցուց զանմանցուց սայմիս
գալ գուցու զահաճա, գա Մետքմուլութմա մուշաման յուտեանաւ Մերջութքա.

Ցաշրամ 1832 թվականը ծովներութուս, նամուսատցուս ոյս գա-
նունցուլու. ցա տարուլու Մետքմուլութու ոյս նոցոյրու երևասպուր ամուս-
նութուն. ամ գրուս յացուսուս չարյեթմա սահրաւալու, յորիկուսուս ուրուրուս, մու-
զարմարտցեթուլու ծահրմ հունեն, սայարտցելում մորու մուցարու հոյսուս
մալցուտ զալամիքրեթուլու ոյս գալուստունքու, այցանցյեթուլու լույսուս թինա-
աղմուց. Մետքմուլոն զարասարանքն, հում յացուսունուս մուցուտ հուսցու
պար Մետքմուլունքն նամուսարմ չահրու զագմուցանուս մոնթցելուցանուս հառ-
ցնունք. կը մուգ զանմանեցուլու ոյս գահուալուս երեմուս գալուս գալութքա գա
ցնուս մուշլու. (Մետքմուլոնձս յուտ-յուտու մոնաթուլու, հոմելմաց աղջու-
լունձնուց գահուցալունցիւ գահուալուս երեմա, սիրութքա: „ամ ցուտահուսամի մլո-
յուսուս չահրու ցըրա մալուս զագմուցուլու ամ մուտա թերձա, սկըտու թինա-
աղմուցյեցուս մուս ցոնա ցրուալ մուրուց չահրու. մուսասցուլու անսաւու ամս.
ցնա առս ցրուալ ցութու, հոմելուուց աղջուլու սրուլուցուտ աղունցուցյեցուս:
հայիրաս որուս անց սամիս աղջուլուս ցնա, հոմելուսապա մոնեց գահուցացք-
տուրցու“) 1). եռլոռ նամուսարմ նելցուտ զագմուցան չահրուս սայմառ հաս-
ցնունքուտ մանունցուլուս ամուսնութմա անց ուս աղջու գա հուցուլու ամսիրու-

1) ո. ցրուուլ որինցունք, „մունցութմա նյու թույլուտուգա պետքութունցումունք“
(1831 թ.).

ლებლად იყო მიჩნეული, ამასთან ზღვის სანაპირო და შოთავალი იყო აჯანყების ძირითად ტერიტორიას, ტფილის და ქართლ-კახეთის პროვინციებს. თანაც შეთქმულებს ვანზრახული პეტონდათ, მიუცუდებისა და მიმობირობობის შეგანადებული მაღაბით აჯანყებულ იმერეთისა და აღმოსავალის კავკასიის მცხულმანთა დახმარებით. ასეთ პირობებში, ზამთრის განმავლობაში კულაფერს მოვითავებთო, პფიქრობდნენ შეთქმულნი.

აჯანყების დაწყების დღედ ფიქსირებული იყო 1832 წლის 20 ნოემბერი. მაგრამ შემდეგ ეს დღე გადატანილ იქნა ჯერ 6 დეკემბერზე, ხოლო საბოლოოდ შეიარაღებული გამოსვლის დაწყების ვადად დაინიშნა 20 დეკემბერი 1832 წლისა. დღეების ვადაშევა იმით იყო გამოწვეული, რომ თავად-აზნაურთა საზოგადო ყრილობა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, და რომლის მოწვევა ნავარიულევი იყო ტფილისში 1832 წლის 20 ნოემბრისათვის, შემდეგ გადატანილ იქნა ჯერ 6 დეკემბრისათვის, საბოლოოდ კი 20 დეკემბრისათვის დაინიშნა. ხოლო შეიარაღებული გამოსვლის შეფარდება ამ დღისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა შეთქმულთათვის.

შეთქმულობის ხელმძღვანელი წრის მიერ შემუშავებულ იქნა აჯანყების დაწყებისა და შემდგომი გაშლის დაწვრილებითი გეგმა, რომელსაც შეთქმულნი „პირველი ღამის განკარგულება“ უწოდებდნენ.

აჯანყების დაწყების დღეს, კ. ი. 20 დეკემბრისათვის საღმოს უნდა გამართულიყო თავად-აზნაურთა სახელით წვეულება, რომელზედაც მიწვეული უნდა ყოფილიყვნენ რესერტის ხელისუფლების კულა მნიშვნელოვანი სამსედრო და სამოქალაქო მოხელე. ღამის 1 საათისათვის, რა დროსაც უნდა დაწყებულიყო ტფილისში შეიარაღებული გამომვლა, წვეულებაზე დამსწრე შეთქმულობის თანაგებმზრახელებს უნდა დაეტყველებინათ ხელისუფლების წარმომადგენლები, ხოლო წინააღმდეგობის გამწევნი მოქადა.

მავე პირველი საათისათვის უნდა მომხდარიყო ტფილისის დაპერა აჯანყებულთა მიერ. ვანაშილებული იყო რაზმები და ჯგუფები ასაღებად ცალკე პუნქტებისა: აზერნალისა, ყაზარმებისა, ციხისა, საპროვიონტო მაღაზიებისა, ხაზინისა, ორდონანს-პაუზისა, ნავთლულის ზონისა. ვამოყოფილი იყვნენ საგანგებო ჯგუფები ქალაქში წესრიგის დასაცავად და აზარქიული გამოსვლების აღსაკეთად.

ტფილისიდან აჯანყება უნდა მოსდებოდა პროვინციას. აჯანყების ორგანიზაციისათვის პროვინციაში ჩატარებული იყო მოსამზადებელი მუშაობა. (რესერტის სამსედრო ხელისუფლების ერთს მოხსენებაში, რომელიც 1832 წლის დეკემბერში არის მირომეული კავკასიის მთავარმართებლის და სამხედრო ძალების სარდალის ბარონ როსენისადმი, აღნიშნულია, რომ „все грузинские деревни намерены были взбунтоваться, с таким предположением, чтобы русские войска частично 10. „მნიობი“ № 9.

истребить, и частично изгнать из Грузии".  კავშირი ქეთინდათ გამული სოფლად ქართლის რაიონებში, ტერა-გახეთში, ქიშიში, ნაწილობრივ იმერეთშიც). უროვნებული სეიმის მოსაწევედა.

სდგებოდა დროებითი მთავრობა. დაუყონებლიშე შეიძლება უნდა კუთილიყო ზომები ეროვნული სეიმის მოსაწევედად.

ტფილისის აღებისთანავე აჯანყებულებს ვამზრახვა პეტოვანდათ ურთიერთობა დაეკირათ ოსმალეთთან და სპარსეთთან (რომელთაც აჯანყებულები პეტრიდებოდნენ ტერიტორიულ კომპენსაციის კავკასიის სამხრეთ რაიონებში, მცირებულ ზომაში), აგრეთვე ეკროპის სახელმწიფო კუთხით აღრიცხანაც უშეალო ურთიერთობის გაბმას შეთქმულობის ლადერები აღრიცხანვე სცილობდნენ.

შეთქმულობის ხელმძღვანელებს თუმცა აფიქრებდათ სპარსეთისა და ოსმალეთის მოსალოდნელი პოზიცია საქართველოს მიმართ, მაგრამ იმედი პეტოვანდათ, რომ ეს ორი მეზობელი დიდი მუსულმანური სახელმწიფო კეთილგამწყობილ ნეიტრალიტეტს დაიცავდა. შეთქმულობის ერთი მონაწილე ჯერ კიდევ 1831 წლს ამ სავანზე სწერდა:

„აწ თვით ყიზილბაში (სპარსეთი) და ოსმალიცა ხედვენ შეცდომის აღებათა თვისთა, რომელ საქართველომ. მათგან შეიწრებულმან, დაუშეზობლა ქსირენ საშინელი მათვეის მეზობელი რუსეთი... ყიზილბაში სწერედენ აღა-მამიან-ხანს ტფილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზი რუსეთის გადმოსელისა“.

შეთქმულობა ჩავარდა.

9 დეკემბერს (ე. ი. აჯანყებისათვის დანიშნულ ვადაზე 11 დღით წინ), ნაშრადლეების 5 საათზე, შეთქმულობის მთავარი ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრი ისე ფალავანდიშვილი, ძმა ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორისა, როგორც სჩანს ამ უკანასკნელის ჩაგონებით, გამოცხადდა კავკასიის ჯარების სარდლის, კორპუსის უკუროსის მთადგილე გენერალ ვოლხოვსკისათვის და გასცა შეთქმულება. 10—11 დეკემბერს შეთქმულების ლიდერები რუსეთის ხელისუფლებაში დაატყვევა.



შე-19 საუკუნის ქართველი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ნიკოლოზ ბარათაშვილი, აეტორი „ბედი ქართლისა“, არის მემკვიდრე ეროვნულ-გამმანთავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოისახელება პორეა 1832 წლის შეთქმულობაში. „მამულის გამოხსნის შეთქმაში“—ში.

1832 წლის შეთქმულობის მარტინ დამთავრებას მოჰყვა ხანგრძლივარების ქართველ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეთქმულობის აქტივურამოავლდა საზოგადოებრივი მოძრაობის რიგებს. ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ის რჩეული, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა 1832 წლის თაობისა, აზიდა ის ტერიტორი, რომელიც 1832 წლის თაობაში დასტოა.

ჩვენ ქვემოთ განკითილავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის „შეთქმულებას და ჩვენთვის ნათელი გახდება ის ღრმა კეშირი, რომელიც ატატეპს „ქართლის ბედის“ ავტორს 1832 წლის მოძრაობასთან უკავშირდება“

აյ კი, ბიოგრაფიულ ნარკეცში, რომ არ დავშეუტყოვას ავტორის გიური კანვას, ჯერ შევტერდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ ცნობებშე 1832 წლის შეთქმულობის ხანაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჯერ კიდევ ყმაშეილი იყო, 14 წლისა, როდესაც 1832 წელს „მამულის გამოხსნის შეთქმა“ ჩიტავდა.

მაგრამ, როგორც ერთგან ამობას ბარათაშვილი, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

1832 წელს ნ. ბარათაშვილი გიმნაზიის უფროს კლასებში იყო (მე-ექვე კლასში). ბარათაშვილი ინტელექტუალურად აღრე მომწიფდა. ამ ხანას, გიმნაზიაში ყოფნის დროს, ეკუთვნის ნ. ბარათაშვილის პირველი ლიტერატურული ცდები. მაინც ბარათაშვილი ამ დროს ჯერ კიდევ იდენტიური ახალგაზრდა იყო, რომ იყი, რასაცირკელია, არ შეიძლებოდა განდობილი ყოფილიყო შეთქმულობის საქმეში, შეთქმულობის ორსებობა საფრიქებელია მან არ იცოდა.

მაგრამ გარშემო მაინც იგრძნობოდა შეთქმულობის იდეური ატმოსფერო. ხოლო „მამულის გამოხსნის შეთქმის“ დალუპეა ახალგაზრდა ბარათაშვილმა ტრაგიულად განიცადა.

შეთქმულობის მონაწილე იყო პოეტის ბიძა გრიგოლ ორბელიანი, რომლის ლექსებს, შეთქმულობის იდეებით შთავონებულს, ბარათაშვილი ჰქონის ულობდა, რომლის პოეზიაში აღინარდა ახალგაზრდა ბარათაშვილი. შეთქმულობაში მონაწილეობდა მეორე ცნობილი პოეტი ამხევე ეპოქისა — ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის ოჯახურ წრესთან ახალგაზრდა ბარათაშვილი დახლოვებული იყო. შეთქმულობის მონაწილენი იყვნენ ბარათაშვილის მახლობელი პირები — ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი. კერძოდ, ეს ორი უკანასკნელი ჯერ კიდევ ყმაშეილები იყვნენ, ბარათაშვილის თითქმის ტოლები (გიორგი ერისთავი 17 წლისა იყო, როდესაც დაუახლოვდა შეთქმულთ, ხოლო გიამართლების დროს გიორგი ერისთავი იყო 21 წლისა, ვახტანგ ორბელიანი 20 წლისა).

შეთქმულობის იდეური ატმოსფერო იგრძნობოდა თვით გიმნაზიის კედებშიაც. ბარათაშვილის დროს გიმნაზიაში მასწავლებლად იყვნენ ცნობილი მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი და ახალგაზრდა ლიტერატორები დიმიტრი ყიფიანი და ზაალ აკონტანტ აშვილი. ჩველა ესენი აქტორი მონაწილენი იყვნენ 1832 წლის შეთქმულობისა და ხელისუფლებამ დაატყვევა დოდაშვილი, ყიფიანი და ავთანდილაშვილი 1832 წლის 11 დეკემბერს.

სამხედრო სასამართლომ ხელომონ დოდაშვილს, როგორც შეთქმულობის ერთ-ერთ მთავარ ლიდერს, ჯერ სიკედილით დასჯა მიუსაჯა.

შემდეგ სიკვდილით დასჯა გადასახლებით შეუცვალა. სოლომონ დოდა-შვილი წელიწად-ნახევარი პატიმრად ჰყავდათ ტფილისში, უცაბრის-ყაზარმებში, შემდეგ კი, 1834 წლის ივნისში, გადაგზავნების ტუსკულს. რუ-სეოთიდან იგი საქართველოში ცოტხალი აღარ ჩამომტრებული ჟული-მონ დოდაშვილი, გადასახლებაში მყოფი, დაიღუპა ჭლექით 1836 წელს. დიმიტრი ყიფიანი და ზაალ ავთანდილაშვილი აგრეთვე ერთ წელს იყ-ვნენ ტფილისში დატყვევებული და შემდეგ ისინიც გადასახლეს რუ-სეოთში 1833 წლის დეკემბერს.

ს. დოდაშვილი, ვიდრე დაატყვევებდნენ, ექნა წელიწადს (1826 წლი-დან 1832 წლამდე) მასწავლებლად იყო ჯერ კეთილშობილთა სას-სწავლებელში, და შემდეგ გიმნაზიაში, როდესაც კეთილშობილთა სას-წავლებელი გიმნაზიად გადაეყოდა. დოდაშვილი ასწავლიდა ქართულ-სიტყვერებას. ნ. ბარათაშვილი მისი მოწაფე იყო ხუთი წლის განშავ-ლობაში.

რაც შეეხება დიმიტრი ყიფიანს, იგი ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, 21 წლისა, როდესაც შეთქმულობაში მონაწილეობისათვის შეიძირეს-დიმიტრი ყიფიანი იმავე კეთილშობილთა სასწავლებელში იყო აღზრდი-ლი. როდესაც ბარათაშვილი პირველ კლასში შევიდა 1827 წელს, დი-მიტრი ყიფიანი შეხვეთ ელასის მოწაფე იყო. სწავლა დასრულა 1830-წელს და იმავე 1830 წლის ნოემბერს მასწავლებლად დაინიშნა დაბალ კლასებში, თუმცა ბარათაშვილი არ იყო დ. ყიფიანის მოწაფე, მაგრამ მათი ნაცნობობა ამ დროიდან იწყება, რაც შემდეგ დიმიტრი ყიფიანისა-და ნ. ბარათაშვილის დამეგობრებით დამთავრდა.

განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ნ. ბარათაშვილზე სოლომონ დო-დაშვილს.

სოლომონ დოდაშვილი (1804 — 1836 წ.) ბევრნაირად საინტერესო ფიფურაა ქართული საზოგადოებრივი და გონიერი მოძრაობისა მე-19-საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში. მისი სახით ჩენ გვყავს გამოჩე-ნილი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ფილოლოგი.

სოლომონ დოდაშვილმა უძალესი განათლება რუსეთში მიიღო. ს. დოდაშვილმა გამოაქვეყნა რუსულად შრომა: „Курс философии, часть первая. Логика“ (СПБ 1827 წ.), პირველი მნიშვნელოვანი ნაშ-რომი ლოლიკის დაზგში რუსულს ენაზე. ს. დოდაშვილი ფილოსოფიაში კანტის მიმდევარი იყო, და მას რუსეთის ფილოსოფიის ისტორიაში მნიშ-ვნელოვანი აღვილი ეკუთვნის, როგორც ერთ-ერთ პირველ კანტიანელს.

ს. დოდაშვილი საქართველოში ჩამოსელის შემდეგ ხდება ქართული-ინტელექტუალური მოძრაობის ნამდვილი მეთაური. კერძოდ, განსაკუთ-რებით დიდი იყო როლი ს. დოდაშვილისა 1832 წლის შეთქმულობაში, როგორც ორგანიზატორისა და იდეოლოგისა. ს. დოდაშვილი იყო წევრი-შეთქმულობის სელმდოვანელი სამეულისა, ალექსანდრე ორბელიანთან და-ელიზბარ ერისთავთან ერთად.

ჩეენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ შეთქმულთა მოსამაშადებელი მუშაობა ნაწილობრივ ლიტერატურული წრეს საფურს ჰქონის ტარდებოდა. შეთქმულთა მთავარი კომიტეტის უფლებებით, ს. დოდაშვილმა დაიწყო გამოცემა პირველი ქართული სუსტატელისა „ტფილისის უწყებანი“. უცრნალი, რამდენაც ეს მოსახერხებელი იყო ნიკოლოზ I-ის დროის მეაცემ ჩეგავინონურ ხანაში, მიზნად ისახავდა ლეგალობის; ფარგლებში საზოგადოებრივი აზრის შემზადებას აჯანყების დაწყების წინ. ს. დოდაშვილი სცდილობდა გაეშვა უცრნალში, სხვა ჩვეულებრივ საეურნალო ნეიტრალურ მასალასთან ერთად, ისეთი ნაწერებიც, რაც პატრიოტულ სულისკეთებას გააღიძებდა. ასე, ამ უცრნალში დაიბეჭდა გიორგი ერისთავის „ოსური მოთხოვანი“, რომელშიაც აღწერილია მე-17 საუკუნის ერთვნული გმირების ელიზბარის, შილვასი და ბიძინას თავდადება სამშობლოსათვის, და რომელიც გამპვირვალე ალევირიულ ხაზებში შეიცავს მოწოდებას, რომ თანამეტოვე ქართველებმაც მიშვაძონ მათ და გაძევონ „თაორები“ (ივულისხმება რუსები).

ამ უცრნალში დასაბეჭდად, სჩანს, გამზადებული იყო ავრეთვე დეკაბრისტი რილევის „ნალივაიკოს აღსარების“ გრიგორ ორბელიანის მიერ ვადმოკეთებული ტექსტი, რომელიც ეანდარმერიამ ს. დოდაშვილის ქალაცებში აღმოაჩინა.

ლიტერატური წრე, რომელიც შეიქნა ს. დოდაშვილისა და მისი უცრნალის გარშემო, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა ახალგაზრდა დამწეუბნალის გარშემო, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა ახალგაზრდა დამწეუბნალის მოწაფები, — დავით მაჩაბელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიზეილ თუმანიშვილი, რომლებიც ამ დროს პირველად ებმებიან ლიტერატურულ მუშაობაში, სცემენ ხელნაწერ უცრნალსა და ილმანაბს.

საინტერესოა სოლომონ დოდაშვილის ერთი ჩვენება, საიდანაც სჩანს შეთქმულთა წრეების მზრუნველობა იხალვაზღობის განათლების საქმისათვის.

როდესაც ს. დოდაშვილი დაიჭირეს, შეთქმულისა უკვე გაცემული იასე ფალავანდიშვილის მიერ და ხელისუფლებას გარკვეული ცნობები ჰქონდა კერძოდ ს. დოდაშვილის ხელმძღვანელი რილის შესახებ აჯანყების მზადების საქმეში. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ს. დოდაშვილის დიდის ტაქტით ეჭირა თავი. კავკასიის მთავარმართებელი ბარინი როზენი ერთს მოხსენებაში ს. დოდაშვილის შესახებ აღნიშნავს, რომ დოდაშვილი „изворотливо перед судом показывал, что будто бы вступил в заговор не против правительства, а против присутственных мест“. ხოლო საგამომბიჯლო კომისიის დასკენიშვილი აღნიშნულია: „Додаев, более других скрытный и осторожный, не столько помогал присканием участников, как различными советами, подстреканиями и суждениями на совещаниях; он брался издавать грузинскую газету, для возбуждения умов, приготовил

возмутительную к народу прокламацию, и вообще занимался предпочтительнее средствами подобного рода, учёному знанию его приличествующими".

ЦАРИЦИНО

თუ რა ხასიათისა იყო ის კრებები და თათბირებები მონაშილეობას იღებდა, — დოდაშვილი უჩვენებს, რომ ისინა ლიტერატურის საკითხებსა და ლეგალური ხასიათის საზოგადოებრივ საქმებს ეხებოდათ. ასე, კრთი კრების შესახებ, რომელიც ს. დოდაშვილის სახლში გამართულა და რომლის შესახებ ეანდარმერის ჰქონია ცნობები, ს. დოდაშვილი აჩვენებს (მოგვყავს ჩვენების რუსული ტექსტი; ჩვენებას რუსულად ართმევდნენ): „Ужин был у меня в доме. Читали сочинение ученика Мачабелова (изулисебиб) დავით მაჩაბელი, Б. ბარათაშვილის უფროსი სკოლის მმხანაგი) и рассуждали; говорили составить общество, положить сумму, из суммы купить библиотеку и типографию; так же говорили отправить способных учеников в университет и дать пособие".

რასაკვირეველია, ის კრება, რომელზედაც აქ დოდაშვილი მოგვითხრობს, ამ იყო ასე უბრალო, იქ ამავე დროს უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზედაც იყო თათბირი. მაგრამ ამასთან ისიც ფაქტია, რომ ახალგაზიდობის განათლების საკითხები და ლიტერატურის საქმეები უახლოესი მზრუნველობის საგანს შეადგენდა დოდაშვილის წრისათვის.

★

როდესაც შეთქმულობის მონაშილენი დაატყვევეს, ბარათაშვილმა „მამულის გამოხსნის შეთქმის" დალუპვა განსაკუთრებულის მტკიცნეულობით განიცადა. მთელი სიმპატია და სიყვარული ახალგაზდა ბარათაშვილისა შეთქმულთა მხარეზე იყო.

ჩვენ აქ შევწერდებით ორ ამბავზე, საიდანაც ცხადი ხდება განწყობილება ახალგაზდა ბარათაშვილისა ამ მლელვარე ხანაში.

უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ვიმნაზიაში მოსწავლე ახალგაზდა ლიტერატურული თაობა, ნ. ბარათაშვილის მონაშილეობით, სკუმდანელნაშერ ჩურნალს („გიმნაზიის ყვავილი"). 1833 წელს, ე. ი. როდესაც შეთქმულობის მონაშილენი ავლაბრის ყაზარმებში იყვნენ დაპატიმრებულნი და სიკეთილით დასჯას მოკლოდნენ, ახალგაზდათა ამ ლიტერატურულ წრეს გამოიუშეთ ხელნაშერად ქართულს ენაზე ლიტერატურული აღმანახი, ლექსითა კრებული¹⁾.

საყურადღებოა შემადგენლობა ამ აღმანახისა. იქ მოთავსებულია ნაწერები: ნიკოლოზ ბარათაშვილისა (5 ლექსი), მიხეილ თუმანიშვილისა და ლავრი მაჩაბლისა (ეს სამი ავტორი ახალგაზდათა ლიტერატურული

¹⁾ ი. ხელნაშერი საქ. მუზეუმის პალიგრაფიული განყოფილებისა H — 2684.

წრის ხელმძღვანელებია); ამას გარდა აღმანახში შეტანილი ნაწერებია: გორგოლ ორბელიანისა, ალექსანდრე ორბელიანისა, გიორგი გორგოლიანისა, ალექსანდრე ვაკევავაძისა, დაიგით ყორლანაშერლისა, სტარუფურაშვილებისა. და ადგილები „ცეცხის-ტყაოსნიდან“.

აქ ურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ახალგაზდათა ამ წრის შესაძლოდ დაუნახავს შეეტანა აღმანახში ნაწერები იმ პირთა, რომლებიც კანონს გარეშე იყვნენ გამოცხადებული აჯანყების მომზადებისათვის, ე. ი. ალექსანდრე ორბელიანისა, გრიგოლ ორბელიანისა, გიორგი ერისთავისა და ალექსანდრე ვაკევავაძისა. იმ მღელვარე ხანაში ჯერ მარტო მოხსენება ამ პირებისა სახიფათო იყო პოლიტიკურად, არათუ მათი ლიტერატურული პოპულარიზაცია.

ხოლო კიდევ უფრო საყურადღებო ისაა, რომ აღმანახში მოთავსებულია ამ ავტორთა არა მხოლოდ პოლიტიკურად ნეიტრალური თხზულებანი, არამედ რეკოლუციური ხასიათის ნაწერებიც.

ასე, აღმანახში შეტანილია გიორგი ერისთავის „ოსური მოთხრობა“, რომელიც, როგორც მოხსენებული გაქმნდა, პირველად სოლომონ დოდაშვილმა გამოაქვეყნა და რომელიც გამჭვირვალე ალეგორიის საფარს ჰერმან „მამულის გამოხსნისათვის“ მოწოდებას შეიტანა.

ამავე აღმანახში მოთავსებულია, ავტორის ხელმოუწერულად, ვრიგოლ ორბელიანის ლექსი „იარალისადმი“, რომელიც გავრცელებული იყო შეთქმულთა წრეებში და რომელიც აჯანყების სულისკეთებით არის შთავინებული:

„დავნატრი შათ, ეინც თვისი სიცოცხლე თვისია მამულსა შესწირა მსხვერპლად, დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრუობა მამულისადმი გულს ალბერტილად... წარსულთა დროთა, დილების დროთა, ყოველი კეთილი თანა წარილეს!

აშ რცხო ცის ქვეშ ზოგთა ესპერერთ თხერით, და ზოგის ცრემლით წმიდა სამარეს...

ეინ აღწინდეს გმირი,

რომ მის ძლიერი

ბეჭს დამინებულს ხმა აღიდგენდეს,

რომე მარჯვენით,

ცრთისა დაყერით.

ცარლოდ მიწას ვე შავს დაცუმდეს?

ეეშაპად აქ იგულისმება ცარისტული ხელისუფლება, რომლის დამხობისაკენ მოუწოდებდა პოეტი.

მირიგად, ეს აღმანახი, გამოცემული ხელნაწერის სახით 1833 წელს, როდესაც აჯანყების მზადების მონაწილენი მთავრობამ დაბრუევა, კარგად გეისტრათებს იმ სულისკეთებას, რომლითაც შეპყრობილი იყო ნ. ბარათაშვილი და მის გარშემო შემოკრებილი ლიტერატურული ახალი თაობა.

აქ ჩვენ შევეხებით ავრეთვე მეორე ამბავსაც, საიდანაც ირკვევა ნ. ბარათაშვილის განწყობილება ამ მღელვარე ხანაში.

ამბავი, რომელზედაც ქვემოთ გვაქვს საუბარი, შენაბული ცნობების თანახმად, მომხდარი მაშინ, როდესაც ბარათაშეილი 14—15 წლისა ყოფილა, ე. ი. იმავე 1832/1833 წლების საზღვარზე. ერთხელ კარგად იყო იგი შესრულებული. ეს კით, ზოგიერთი ამ კონცერტს დაცანვით შეცვლილია.

გიმჩაზიაში ქართველ მოწაფეობის კონცერტი გაუმჯობესებული არა უნიკანის, რა ხასიათისა იყო ის კონცერტი. არც ის ვიცით, რამდენად კარგად იყო იგი შესრულებული. ეს კით, ზოგიერთი ამ კონცერტს დაცანვით შეცვლილია.

6. ბარათაშეილი მონაწილე ყოფილა კონცერტისა. 6. ბარათაშეილს გადაუწყვეტია პეტა ქსწავლებია მათვების, ეინც კონცერტის მოწყობას დაცანვით შეხვდა, და დაუწერია მათ საწინააღმდეგოდ სატირა ლექსად.

სატირა ბარათაშეილსა და მის ამხანაგებს გაუგზავნიათ ფოსტით ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორისათვის თავად 6. ფალავანდიშვილისათვის.

რა ეწერა 6. ბარათაშეილის ლექსში, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ შენახულა. მავრამ უკვეველია იგი ამა-თუ იმ სახით მთავრობის საწინააღმდეგო დაგილებსაც შეიცავდა. ცხადია, ამით იყო გამოწვეული, რომ ამ ლექსის გარშემო მთელი ისტორია შეიქმნა. გამოძიებაში ჩერია უნდაჩამერია, პროკურორი და თვით კავკასიის ჯარების სარდალი და მთავარმართებელი.

საფიქრებელია, რომ ლექსში, პირდაპირ თუ გადაქრული ცტყვაობით საუბარი ყოფილა იმ გამცუმლობაზე, რომელმაც გამოიწვა 1832 წლის შეთქმულობის ჩავარდნა. ამით უნდა აიხსნას, რომ ბარათაშეილსა და მის მეცნიერებს ეს ლექსი-სატირა გაუგზავნიათ 6. ფალავანდიშვილისათვის. ტფილის სამოქალაქო გუბერნატორი 6. ფალავანდიშვილი იყო მას სწორედ იმ იასე ფალავანდიშვილისა, რომელმაც 1832 წლის შეთქმულობის მიმართ მუხანათური გამცუმლობა ჩაიდგინა.

ცნობა იასე ფალავანდიშვილის გამცუმლობის შესახებ მაშინვე დარხეულა საზოგადოებაში. ეს სცოდნია 6. ბარათაშეილსაც. უფრო გვიან 6. ბარათაშეილი, ივონებს აა იასე ფალავანდიშვილის ამ გამცუმლობას, „ავის ენისა გესლს“, რომელმაც იმსხვერპლა ქართველი პატრიოტები, სწერს გრიგოლ ორბელიანს:

„ძიაუ. ყაბახი, სამშობლო შენი,
წევაროთ ა ე ი ს ე ნ ი ს ა გ ე ს ლ მ ა ნ;
სატრუნი მისი შემოგარენი
გ ა რ დ ა ხ ე რ წ ი ლ ს ა დაგიში ეტლმან“.

როდესაც 6. ბარათაშეილის სატირა მისელია 6. ფალავანდიშვილს, მთავრობა შესდგომია საქმის კვლევას.

საგანგებოდ გაუფრთხილებიათ ტფილისის ფოსტა, უცნობებიათ ფოსტის შეართველობისათვის, თუ ჩანარი ბეჭდით იყო დაბეჭდილი ის პაკეტი, რომლითაც სატირა მიუვიდა 6. ფალავანდიშვილს, და დაავალეს

ფოსტის აპარატს თვალყური ედევნებინათ წერილების ბეჭედურისათვეის, რათა ამ გზით გამოერქევიათ დამნაშავე.

ფოსტამ მიაგნო დამნაშავის ქვალს, როდესაც გამჭვირის მიიღო საძიებელი ბეჭედით დაბეჭდილი ერთი წერილი. წერილის შირტის გონიშის მსახური დაიტირეს და მთავრობას წარუდგინეს. იმავე სააღმის სასწავლებელში მიიღონენ გამოძიების საწარმოებლად: განდარმის თვილერი, პროფესიონალი და პოლიციის უფროსი. გამოძიების შედევრად გამოიჩინა, რომ სატირის აეტორია ნიკო ბარათაშვილი, ხოლო მისამართი დაწერილია ნ. ბარათაშვილის სკოლის ამხანავის პეტრე ბაგრატიონის ხელით.

ადეილად წარმოსადგენია ხელისუფლების კონფუზი, როდესაც გამოიჩინა, რომ სატირის აეტორი და გამაცრულებელი ყოფილია არა შეიარაღებული რევოლუციონერ-კარბონარიები, არამედ 14—15 წლის ბავშვები..

გამოძიების შედეგი მოახსენეს კავკასიის ჯარების სარდალსა და მთავარმართებელს.

რაკი „დამნაშავენი“ უწლოვანი ბავშვები აღმოჩნდნენ, ხელისუფლებამ საქმისათვის შემდგომი მსელელობის მიცემა ზედმეტად მიიჩნია. „უმაწვილ რევოლუციონერებს“ როზგით დასჯა აქმარეს.

მთავარმართებლის განკარგულებით, დამნაშავეთა „როზგით“ დასჯა სისრულეში უნდა მოეყვანათ თვით მშობლებს.

პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია, თანამედროვეთა გადმოცემით, ასე აცვიშერს დამნაშავეთა დასჯის ამბავს:

